# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში,
როგორიც ბედნიერი [illegible],
[illegible] და [illegible]
[illegible]
[illegible]


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2010 წელი.

№243 (6609)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# პრეზიდენტმა ყვარელი მოიველოსიპედა




საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყვარელში იმყოფება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ყვარლის მაცხოვრებლებმა აცნობეს, ორი დღეა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყვარლის ცენტრში ველოსიპედით სეირნობს.

ადგილობრივების თქმით, როცა პრეზიდენტი ველოსიპედს მოაჯდება, ესკორტს ქუჩები გადაკეტილი აქვს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პრეზიდენტი ყვარლის ტბის სასტუმრო კომპლექსშია დაბინავებული. სასტუმრო კომპლექსთან მისასვლელი გზები დაცვას აქვს გადაკეტილი, მიმდებარე ტერიტორია კი მკაცრად კონტროლდება.



## სხვის იმედად ⑦ ჩვენი მტერი იყოს



## ოქრუაშვილმა პარიზში ახალაია მიბერტყა ②

## ვერიკო ქობალიამ მართლა გაუბერა



## რომელი ეპოქა უფრო ⑨ რყვნის ჟურნალისტებს?



## რა დაგვიჯდება ② საახალწლო სუფრა?

რეალური მყიდველების ნაკლებობის მიუხედავად, აგრარული ბაზრები ფასების დაკლებას არ აპირებენ

## რასაკვირველია, ③ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთიც და სხვებიც, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კვლავ „გაყინულ" მდგომარეობაშია

## არაპირდაპირი ინვესტირება კერძო სექტორში მართლა ზოგავს დროსა და ფულს? ⑥



## როგორ ⑤ გადაარჩინეს ვაჟა-ფშაველამ და ექიმმა ნიკო ჯანდიერმა ქიზიყი უცხოტომელთა ჩასახლებისგან

№ 243. ოთხშაბათი, 29 დეკემბერი, 2010 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

## პატრიარქმა „ხარება“ დალოცა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თბილისში ახლად გახსნილი მაღაზია „ხარება“ დაათვალიერა.

ღვინის დეგუსტაციას მყიდველები ადგილზევე შეძლებენ. მაღაზიაში კომპანია „ხარებას“ მიერ ჩამოსხმული 30-ზე მეტი სახეობის ღვინო გაიყიდება. პატრიარქთან ერთად ღვინის ცენტრი სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმაც დაათვალიერა.

— ჩვენი კომპანია არის ერთ-ერთი ფლაგმანი საქართველოში ხარისხიანი ღვინის წარმოების. ამ მაღაზიის გახსნით გვინდა მოვახდინოთ ხარისხიანი ღვინის პოპულარიზაცია როგორც შიდა მომხმარებლისთვის ასევე უცხოელი ტურისტებისთვისაც, — განაცხადა მეღვინეობა „ხარებას“ მეღვინე დავით ჩიჩუამ.

## ოქრუაშვილმა პარიზში ახალაია მიბერტყა

„ქართული პარტიის“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი დათა ახალაიასთან კონფლიქტს ადასტურებს.

როგორც „ქართული პარტიის“ პრესსამსახურში განაცხადეს, ოქრუაშვილი ახალაიას პარიზში, სასტუმრო „ჰაიატიში“, შემთხვევით შეხვდა.

— ირაკლი ოქრუაშვილი სასტუმროში შვილთან ერთად იმყოფებოდა. მას სასტუმროს მისაღებში დათა ახალაია, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი, იგივე „გლობუსა„ და კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ირაკლიმ ვერ იცნო, შემთხვევით შეხვდა. ახალაიამ მას ბავშვის თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა და ჰგდებულად „რაღაც“ უთხრა, რაც ირაკლიმ, ბუნებრივია, ვერ მოითმინა და როგორც თვითონ ამბობს, სახეში „მაგრად გაარტყა,“ — განმარტეს „ქართულ პარტიაში“.

ნინო ძაგნიძის თქმით, ის ირაკლი ოქრუაშვილს პირადად ესაუბრა და მისგან ისიც გაიგო, რომ შემთხვევის შემდეგ „ქართული პარტიის“ ლიდერმა „ბავშვი სახლში წაიყვანა და სასტუმროში ახალაიას სანახავად ისევ დაბრუნდა, თუმცა „ჰაიატიში“ მას ის უკვე აღარ დახვედრია.

— ახალაიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩვენთვის უცნობია, — აღნიშნა ნინო ძაგნიძემ და აქვე ისიც განმარტა, რომ სიტუაციის განსამუხტად ოქრუაშვილი-ახალაიას ჩხუბში სასტუმროს ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დაცვის წარმომადგენლების ჩარევა გახდა საჭირო.

## ვერიკო ქობალიამ მართლა გაუზერა



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ყველას მოუწოდებს, ვისაც 4 მილიონი აქვს, მესტიის პროექტებში ჩადოს და სასტუმროები ააშენოს. ვისაც სახლში 100 ათასი უდევს, მცირე საწარმოები შექმნას.

ამის შესახებ ქობალიამ გუშინ ახალციხის რაიონის სოფელ წნისში მდებარე აგროსამრეწველო საწარმოების — ყველისა და საქონლის კომბინირებული საკვების დამამზადებელი ქარხნების დათვალიერებისას განაცხადა.

— მნიშვნელოვანია საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება. უნდა შეიქმნას ასეთი ტიპის საწარმოები, რადგან ეს ადგილობრივი ფერმერისთვის შედეგის მომტანია დღესვე, ხოლო დიდი ინვესტიციის ამუშავებას 5-10 წელი სჭირდება. ჩვენ რამდენიმე დღის წინაც გვქონდა საუბარი, სადაც ვთქვი, რომ ვისაც სახლში 4 მილიონი უდევს, მოვუწოდებ, ჩადოს მესტიის პროექტებში და ააშენოს სასტუმრო, ხოლო ვისაც 100 ათასი აქვს, მსგავსი ტიპის ქარხნები შექმნას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც და ფერმერებისთვისაც სასარგებლო იქნება, — აღნიშნა ქობალიამ.

მისივე თქმით, მსგავსი სახის ინვესტიციები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

— ადგილობრივ ფერმერებს საშუალება ეძლევათ აღნიშნულ საწარმოში რძე ჩააბარონ. ლიტრ რძეში 85 თეთრს იხდიან.

იმედი გვაქვს, რომ მსგავსი სახის და უფრო დიდ საწარმოებსაც მომავალში კიდევ არაერთს გავხსნით. ახალციხის საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის გატანა ადგილობრივ ბაზარზე ხდება, თუმცა მისი გაფართოების შემდეგ პროდუქცია საექსპორტოდაც გავა, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

ქობალიამ მოსახლეობას მოუწოდა, რომ ვინც სამსახურს ეძებს, ვაკანსიები არა მხოლოდ დიდ ქარხნებში ეძებონ, ასევე მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორებშიც, მათ შორის რეგიონებშიც.

ჯი-ეიჩ-ენი



ფასები

# რა დაგვიჯდება საახალწლო სუფრა?

### რეალური მყიდველების ნაკლებობის მიუხედავად, აგრარული ბაზრები ფასების დაკლებას არ აპირებენ



**თბილისის** ბაზრობებზე საახალწლო ციებ-ცხელება დაიწყო. აგრარული ბაზრობების კლიენტთა რაოდენობის პროპორციულად ფასებიც იზრდება. როგორც მოვაჭრეები აღნიშნავენ, მომსვლელი უკვე ბევრია, მაგრამ მყიდველი - ცოტა. მიუხედავად ამისა, აგრარული პროდუქტით მოვაჭრეები წინასაახალწლო ფასდაკლებებს არც წელს გეგმავენ და იმედი აქვთ, რომ მოსახლეობა შობაახალი წლის სუფრის შესავსებად წელებზე ფეხის დადგმის ტრადიციას ვერსად გაექცევა.

„ქართველები წელებზე ფეხს ვიდგამთ და 1 იანვრის ღირსეულად შესახვედრად ხარჯს არ ვერიდებით. მოვაჭრეებიც ჭკუას ვხმარობთ და ფასს ვუმატებთ. ბაზრობებზე ხალხი ახლაც ირევა, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი რეალური მყიდველი არ ჩანს. ხალხს ფული არ აქვს და მომატებულ ფასებს ვერ წვდება. მიუხედავად ამისა, ველით, რომ 29 დეკემბრიდან მოსახლეობა ამ მხრივ შესამჩნევად გააქტიურდება. ხომ იცით, საახალწლო სუფრას ჩვენთან ცარიელს არც ღარიბი ტოვებს და არც მდიდარი“, — განაცხადა „პირველთან“ საუბრისას ყოფილი „დეზერტირების“ ბაზრობის ერთ-ერთმა მოვაჭრემ.



ბუნებრივია, ყველაზე მეტად ის პროდუქტი ძვირდება, რომელიც ტრადიციული საახალწლო სუფრისთვის განკუთვნილი კერძების მოსამზადებლად გამოიყენება.

დავიწყოთ გოზინაყით. ნიგოზი კვირის განმავლობაში 18-19-დან 22-23 ლარამდე გაძვირდა. საუკეთესო ხარისხის — წალენჯიხურ ნიგოზს კი ბაზრობებზე 25 ლარადაც შეხვდებით. რაც შეეხება თაფლს, დღეისათვის სუფთა თაფლი საშუალოდ 13-14 ლარი ღირს, თუმცა მოვაჭრეების ვარაუდით, უახლოეს დღეებში ის ალბათ, კიდევ 3-4 ლარით გაძვირდება.

რაც შეეხება ხორცპროდუქტებს, იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ შობის მარხვაა, ფასებმა უკვე 0.50-1 ლარით მოიმატა. მაგალითად, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ აგრარულ ბაზრობაზე 1 კგ ინდაურის ხორცი 8.5-9 ლარი ღირს, ღორისა და ძროხის — 9-9.5 ლარი, ხოლო ყველაზე მომცრო ზომის გოჭის ფასი 60-80 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ქათმის ხორცი ჯერჯერობით არ გაძვირებულა. მუხრანის ქათმის მყიდველს სადღეისოდ 1 კგ-ში 5.5 ლარის გადახდა მოუწევს.

საშუალოდ 1 ლარით გაძვირდა ყველი. კერძოდ, 1 კგ. ჭყინტი სულუგუნი — 11-12 ლარი, მეგრული სულგუნი (მაგარი) კი 14 ლარი ღირს. ჭყინტი ყველის ყიდვა მსურველს ჯერჯერობით 8-9 ლარის ფარგლებში შეუძლია.



რაც შეეხება ტკბილეულს, როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტირებულ ხილზე ფასმა ასევე საგრძნობლად მოიმატა. კერძოდ, 1 კგ მანდარინის ფასი 0.70-1.50 ლარის ფარგლებში მერყეობს. 2-დან 3.5-4 ლარამდე ღირს ფორთოხალი. საშუალოდ, 30-50 თეთრით გაძვირდა კომში და ბროწეული, რომლის ფასი შესაბამისად, 3-4 ლარის ფარგლებში მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ ხილის ადგილობრივ სახეობებს შორის ბაზრობებზე ყველაზე ძვირი ვაშლი ღირს, რასაც მოვაჭრეები გორის რაიონის სოფლებში ვაშლის ცუდი მოსავლით ხსნიან.

როგორც „პირველთან“ საუბრისას ყოფილი დეზერტირების ბაზრობის ერთ-ერთმა მოვაჭრემ აღნიშნა, საახალწლოდ 1 კგ ვაშლი ალბათ, 5-6 ლარი ეღირება.

„წელს ქართლში ვაშლის ძალიან ცუდი მოსავალი მივიღეთ. დეფიციტის გამო გორში 1 კილოგრამი ვაშლის ფასი 4-5 ლარის ფარგლებში მერყეობს. თბილისში ჩამოტანას ხომ ცალკე ხარჯები უნდა. ამას ისიც ემატება, რომ ყოველდღიურად ბაზრის ადმინისტრაციას 25 ლარს ვუხდით. სახლშიც ხომ რაღაც უნდა წავიღოთ?! ამიტომ იძულებული ვართ, ფასები გავზარდოთ. მართალია, ხალხს ფული არ აქვს და მაინც ვერ ყიდულობს, მაგრამ საახაწლოდ ალბათ, ყველა გაიჭირვებს“, — განაცხადა ქართლელმა მოვაჭრემ.

აღსანიშნავია, რომ ბაზრობებისგან განსხვავებით, საახალწლოდ ფასების ზრდას არ პროგნოზირებენ თბილისში არსებულ სავაჭრო ქსელებში.

„წინასაახალწლო მიზეზით ჩვენთან ფასების ზრდა არ იგეგმება. პირიქით, მომხმარებლებს ფასდაკლების არაერთ აქციას შევთავაზებთ. მაგალითად, ყოველ ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას „პოპულის“ ქსელში კლიენტებს აქცია „შოკ-ფასს“ ვთავაზობთ, რომლის ფარგლებშიც ერთი კონკრეტული პროდუქტი ნახევარ ფასში გაიყიდება. კერძოდ, ზეგ, ოთხშაბათს, „პოპულში“ 1 კილოგრამი ფორთოხლის ყიდვა მოსახლეობას 2 ლარად შეეძლება“, — განუცხადა „პირველს“ „პოპულის“ მარკეტინგის მენეჯერმა ლიკა მიქაუტაძემ.

წინასაახალწლოდ პროდუქციაზე ფასების ზრდას არც ჰიპერ-მარკეტ „გუდვილში“ გეგმავენ.

„გუდვილის“ ქსელში ფასები სტაბილურია და გაძვირება არ იგეგმება. პირიქით, ზოგიერთი იმპორტირებული პროდუქტი თავად მომწოდებლებმა 10-15%-ით გააიაფეს. უშუალოდ ჩვენი ქსელის მიერ წარმოებულ პროდუქტებზე კი 50%-მდე ფასდაკლებასაც ვგეგმავთ, რაც წინასაახალწლოდ ჩვენი მომხმარებლებისთვის დიდი შეღავათი იქნება“, — განუცხადა „პირველს“ „გუდვილის“ გენერალურმა დირექტორმა ნუგზარ მალულარიამ.

ასე რომ, მათ, ვინც წინასაახალწლო დღეებში ბაზრობებზე სასურველ პროდუქტს მისაღებ ფასად ვერ მიაგნო, შეუძლიათ, განსაზღვრულ დღეებში სავაჭრო ქსელებს მიაკითხონ.

**თელარა გელანტია**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

თვალსაზრისი

*საქართველოსთვის მშვიდობიანი, მაგრამ კიდევ ერთი რთული წელი დასასრულს მიუახლოვდა. ქვეყანა წელსაც იმკიდა იმ შედეგებს, რომელიც 2008 წლის ომმა მოუტანა. იმ წელს საქართველოს აგვისტოს ომთან ერთად, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის მოსვლასთან დაკავშირებული გარკვეული ცვლილებების გადატანაც მოუწია. კერძოდ, ექსპერტების ნაწილი აცხადებდა, რომ ომგავლილი ქვეყნის მიმართ საერთაშორისო სიმპატიებმა საგრძნობლად იკლო, ქართული ოპოზიცია კი კიდევ უფრო მწვავე შეფასებებს აკეთებდა და ირწმუნებოდა, რომ საქართველო სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა. ეს მოსაზრება რთულ სოციალურ ფონთან ერთად 2009 წელს თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქციების დაწყების საბაბი გახდა. დედაქალაქის მთავარი პროსპექტი ე.წ. საკნებით გადაიკეტა. ჟღერდა რადიკალური მოთხოვნები:*



*მოქმედი ხელისუფლების უპირობო გადადგომა, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საპროტესტო აქციები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა უშედეგოდ დასრულდა. ბევრი ამ აქციების დასრულებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ჩამოსვლას უკავშირებს. ასეა თუ ისე, ქვეყანამ ეს პერიოდიც გამოიარა და დადგა 2010. მიმდინარე წლის შეფასებისას ექსპერტების ნაწილი კრიზისის დასრულებაზე და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გამოსწორებაზე საუბრობს. ამასთან, გულისტკივილით აღინიშნება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კვლავ „გაყინულ" მდგომარეობაში რჩება. „პირველი" 2010 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატს, რუსეთში მცხოვრებ ქართველ სოციოლოგ ბადრი ქუთელიას ესაუბრა.*

# გვიყვარდეს ერთმანეთი და სხვები

„2009 წლის მაისში, როცა ქართული ოპოზიცია საკუთარი აქტივობის ზენიტში იყო, pirweli.ge.com მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის საგრძნობლად შეცვლას, კერძოდ, ერთგვარ „გაფილტვრას" პროგნოზირებდა. მართლაც, 2010 წელს ოპოზიციის დიდი, შეიძლება ითქვას, შეგნებული ნაწილი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფოსა და ერის მშენებლობაში, ხოლო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ავტორიტეტმა ომისშემდგომ მაქსიმუმს (მას ზრდის პოტენციალი კიდევ გააჩნია) სამართლიანად მიაღწია.

ჩემი აზრით, 2009 წლის შიდაპოლიტიკური სიტუაციის გაუმჯობესების პირველი მიზეზი მოსახლეობის მიერ შიდა და გარე საფრთხეების სალი გააზრება იყო, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეთა პოლიტიკური კულტურის რაციონალიზაციის მაჩვენებელია.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი ხელისუფლების სულ უფრო და უფრო ადეკვატური ნაბიჯები იყო. ადეკვატურში პოლიტიკური ქცევის, როგორც პოლიტიკური მენტალიტეტის გამოვლენის უფრო მოდერნისტულიდან პოსტმოდერნისტულისკენ შეცვლას ვგულისხმობ. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მეოცე საუკუნიდან გამოყოლილი, ინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სიხისტე „სწრაფმდინარი მოდერნისტისთვის" დამახასიათებელი და სასურველი ღია და კეთილმოსურნე ლოიალობით შეიცვალა არა მხოლოდ „მტრის", არამედ მოყვასის მიმართაც. ამ საკითხში, ჩემი რწმენით, დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრი სამაგალითოა. იმედია, შიდა კურსის ეს ვექტორი შენარჩუნებული იქნება, რაც მომავალშიც კარგ დივიდენდებს მოგვიტანს.

მესამე, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი შიდაპოლიტიკური სიტუაციის გაჯანსაღებისა მისი გარე ინტენციით განპირობება იყო, რაც 2009 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტით გამოიხატა. ამ ვიზიტმა მაშინ შიდა ასპარეზზე მოქმედ ოპოზიციურ და მესამე მხარის ძალებს თვალნათლივ დაანახა, როგორ აღიქვამდა საერთაშორისო პრაქტიკა საქართველოს სიტუაციას.

**რა თქმა უნდა, გაჯანსაღების მიზეზი თავად ოპოზიციური პოლიტიკური ძალების უმეტესი ნაწილიც არის. მათი მომავალი ურთიერთქმედებებისათვის მზადყოფნის დაპირება 2010 წლის სასიამოვნო შედეგია.**

ბაიდენის ვიზიტს შესაძლოა, სხვა მიზეზი ჰქონდა — საქართველოს დაცვა, განმეორებითი აგრესიის პრევენცია და საქართველოსთან მიმართებაში დასავლეთის პოლიტიკური პოზიციონირების ნათლად წარმოჩენა. ქართული ოპოზიციის რეაქცია მასზე უფრო ჩქარი იყო, საქართველოთი დაინტერესებული მესამე ძალისა კი — არცთუ თვალსაჩინო, თუმცა საგრძნობი. აღსანიშნავია, რომ pirweli.ge.com-ის ანალიტიკაში ასეთი პროგნოზიც არის გამოქვეყნებული. ასეა თუ ისე, საქართველომ თანდათან რუსეთის ინფორმაციულად აქტიური საზოგადოებრიობისთვის რეფერენტულ ქვეყნად გადაქცევა დაიწყო.

**2010 წლის პროცესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინამორბედი ჰაიდი ტალიავინის კომისიის 2009 წლის დოკუმენტი იყო, რომელმაც საქართველოში ორაზროვანი შეფასებები დაიმსახურა.**

წლის კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფურცელი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის თბილისში ვიზიტია. ამის შემდეგ საქართველოს მიმართ აგრესიის პრეცედენტის გამეორება არათუ შეუძლებელი გახდა, არამედ თავისი სახელი დაერქვა რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციასაც. ის, რაც 2008 წლის შემოდგომაზე ვერ თუ არ თქვეს, ის, რაც ტალიავინის 900-გვერდიან დასკვნას აკლდა, ის, რაც ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსის აზრით, აკლდა ევროპის ზოგი ქვეყნის აქტივობასა და აშშ-ის დემოკრატიული მმართველობის პოზიციებს, მთლიანად ითქვა ნატოს 2010 წლის შემოდგომის სამიტზე, ევროპის კავშირის უსაფრთხოების ორგანიზაციის შეხვედრაზე და ასტანაში.

2010 წლის ევროპული და ყაზახური დაჯამება წლის ის შედეგი იყო, რომელიც დიდ იმედებს იძლევა. ამ დროიდან საქართველო თანდათანობით სხვა მეზობელი ქვეყნებისთვისაც საორიენტაციო სახელმწიფოდ იქცა.

**2010 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფაქტობრივმა სიახლეებმა გვიჩვენა, რომ საქართველო მართლაც ემსგავსება იმ ქვეყანას, რომელსაც უნარი ექნება, წარმატებით იარსებოს ჩქარცვალებად თანამედროვეობაში.** სწრაფ ცვლილებებს კი, რაც მომავლის მუდმივი რეალობაა, ხასიათსა და ქცევაში სიხისტე ვერ შეეფერება, არამედ სწრაფი და მოქნილი რეაქცია ესაჭიროება. დიდი ხანია, „ჰარდვერი" „სოფტვერმა" შეცვალა, — საქართველოც ამ მოქნილი ტექნოლოგიით აღიჭურვება. მოქნილობა მენტალურ რევოლუციასთან ერთად მიხეილ სააკაშვილის ევროკავშირის სხდომაზე გამოსვლის საკვანძო ტერმინი იყო.

წლის დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობაში კიდევ ერთხელ გამოცხადებული ცალმხრივი კონსტრუქციულობაც. საქართველოს მხრიდან მისი დაცვა ემყარება იმ პირობებს, რომლებიც ევროპის მაღალი დონის შეხვედრებმა აგრესორ ქვეყანას წამოუყენა. იმედია, ერთი მხარის კონსტრუქციულობას მეორე მხარე ამითვე უპასუხებს. **ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დღემდე მისტიროდნენ ტრადიციული ურთიერთობების აღდგენას „ერთი რწმენის ორ ხალხს" შორის და ამ ფორმულაში არაფერი იყო ნათქვამი სახელმწიფოების შესახებ. რეალურად კი საჭიროა ორი მართლმადიდებლური ავტოკეფალიის, ორი ხალხისა და საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში არსებული ორი სახელმწიფოს კეთილი ურთიერთობები.**

თავად რუსეთში 2010 წელი სამწუხაროდ, ეთნიკური დაპირისპირებების გამწვავების შესახებ ინფორმაციით დასრულდა. ეს რუსეთში მცხოვრებ ყველა ერსა თუ ეთნოსს ეხება, — ქართველებსაც, თუმცა საუბარი ჩრდილოეთ კავკასიასა და კერძოდ დაღესტნიდან მოსკოვში ჩამოსული ექსტრემისტების გააქტიურებაზე იყო. რუსეთში დაძაბულობის სოციალური და ადამიანის თავისუფლებებთან დაკავშირებული მუხტი მეტია, ვიდრე ეროვნებათშორისი დაძაბულობისა, რაც წლის ბოლოს ერთა შორის ორმხრივ მტრობად წარმოაჩინეს. ინფორმაციით ეთნოდაპირისპირებებზე პოლიტიკური დისკურსების სიმძაფრე შეანელეს და სოციალური აქცენტი სხვა ობიექტზე გადაიტანეს. როგორც ჩანს, ეს უკვე დაწყებული საპრეზიდენტო კამპანიის ნაწილია. ერთი მხარე რუსეთს აფხიზლებს ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე ყურადღების გამახვილებით და სთავაზობს მოდერნიზაციასა (მერამდენედ) და ახალ ნაუკოგრადებს, მეორე კი პიროვნული თუ სოციალური საფრთხეების აქტუალიზაციას ახდენს და მათი დადებითად გადაჭრის გარანტად საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს საზოგადოებას.

წლის ბოლოს რუსული ინფორმაციული ნაკადის ნაწილი ქუთაისში აფეთქებული ძეგლის ანალოგის პოკლონნაია გორაზე დადგმას ეხება. ამ აქციის ძირითადი ფიგურანტები რუსეთის პრემიერ-მინისტრი, მოსკოვის მერიის წარმომადგენლობა და ბურჯანაძე-ნოღაიდელი იყვნენ. ერთ გადაცემაში ძეგლის გახსნაზე დამსწრე თითო-ოროლა მოსკოველი ქართველიც ლონისძიების სტუმრად მოიხსენიეს. რუსეთის ქართულ დიასპორაშიც შეიმჩნევა ძვრები, რაც 2010 წლის შემდეგ საქმიანობის ახალ ეტაპზე გადატანის მოთხოვნითაა განპირობებული. კერძოდ, ხელახლა დადგა ქართველის კოდექსის შექმნის საკითხი. თუ ამ წერილში ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, პირველი პუნქტი ამ კოდექსისა ალბათ, **„გვიყვარდეს ერთმანეთი და სხვები"** უნდა იყოს. **ეს ქრისტესეული ფორმულა არათუ მოძველებული, არამედ აქტუალურია, როგორც არასდროს. ეს ფორმულა ჩვენთვის მარადიულიც არის: ზოგჯერ ბრძოლის მეთოდად — „ვარდების სროლას", ხოლო იარაღად ვარდს ვირჩევთ"**, — განუცხადა „პირველს" ქუთელიამ.

**ლევან ჟითანავა**

ინფორმაცია

## რუსული სამართალი სააკაშვილისებურად

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შეფასებით რუსი ბიზნესმენი მიხეილ ხოდორკოვსკის დამნაშავედ ცნობა იმ დამოკიდებულების დადასტურებაა, რომელიც რუსეთს სამართლის მიმართ გააჩნია.

— ეს არის დაცინვა, უსამართლობა და ყველა სამართლებრივი ნორმის დარღვევა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი მეთოდებით ებრძვის რუსეთის ხელისუფლება ხოდორკოვსკის მსგავს ადამიანებს, — პრეზიდენტის აღნიშნული პოზიცია ჟურნალისტებს მისმა პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააცნო.

ამასთან ქვეყნის პირველი პირის შეფასებით, სწორედ აღნიშნული სახე აქვს დღევანდელ რუსულ სამართალს.

## ბჟეზინსკი ეხმაურება რუსთა „გამოფხიზლებას"

რუსეთის დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკას პოლიტოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი რუსეთში არსებული მძიმე ვითარებით ხსნის.

— ბოლო 3 წლის საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა მოსკოვის ელიტა დაარწმუნა, რომ რუსეთი დამოკიდებულია საერთო მსოფლიო სიტუაციაზე. ეკონომიკასა და საზოგადოებას ემუქრება სტაგნაცია, კორუფცია და მოდერნიზაციის



არარსებობა. თუმცა რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს რომ რუსეთი აკეთებს დასკვნებს დემოკრატიის ფუნქციონირების სფეროში ან კონსტიტუციურ მოწყობაზე. მაგრამ რუსები იწყებენ იმის გაგებას, რომ მათი მომავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია დასავლეთთან ურთიერთობის ხარისხზე, — აცხადებს ბჟეზინსკი.

მსოფლიოში რუსეთის ძალის შეფასებისას და მოსკოვის ნეოიმპერიულ ამბიციასთან დაკავშირებით პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბის იმპერიის აღდგენა ვერ მოხერხდება.

## პუტინმა აფხაზებს რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი დაუნიშნა

აფხაზეთში ე.წ. რუსეთის ელჩმა სემიონ გრიგორიევმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბაღაფშს აფხაზეთში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი იური ანიკინი წარუდგინა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.

აფხაზეთში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა დანიშნა.

— სემიონ გრიგორიევმა იური ანიკინი მაღალკვალიფიციურ პროფესიონალად დაახასიათა, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, — იუწყება აფხაზური მხარე.



აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ანიკინის წარდგენისას განაცხადა, რომ აფხაზეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და რუსეთის წარმომადგენელს თავის საქმიანობაში დახმარებას დაპირდა.

## ოკუპანტი სეპარატისტებს ახალ წელს ულოცავს

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბაღაფშს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მხარე ავრცელებს.

— ან უკვე თითქმის გასულ წელს გაგრძელდა ერთობლივი მუშაობა ორმხრივი შეთანხმებითი-სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების საქმეში. გულთბილად ვიხსენებ ჩვენს შეხვედრებს, რომლებსაც აშკარად გულწრფელი და სანდო ხასიათი ჰქონდა. დღეს აფხაზეთი დარწმუნებით მიდის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დემოკრატიის გამყარების გზაზე. აფართოებს საერთაშორისო კონტაქტებს. ჩვენ ჩვენის მხრივ მომავალშიც ვაპირებთ აფხაზი ხალხის დახმარებას ამ რთული ამოცანების შესრულების გზაზე, — ნათქვამია მედვედევის მილოცვაში.

XO-ЭОЖ-ЭБО

**გილოცავთ!**

**გონიერები არიან ეს პოეტები და მომღერლები! გენიოსები არიან, აბა, რა არიან! ჯერკიდევ როდის წერდნენ და მღეროდნენ ამ სიმღერას? ჩვენ კი, არ ვუჯერებდით მათ და მაინც გვჯეროდა მუხანათური ცხოვრების ჭეშმარიტებისა, კაცო! არ დაიჯეროო გვეუბნებოდნენ გენიოსები და ჩვენ კიდევ არ გვჯეროდა მათი. არ გვჯეროდა და, ვიყოთ ახლა ასე, პირში ჩალაგამოვლებულები!**

ვიღაც ქარიტი (ასე ეძახიან, ზოგჯერ იუმორგარეული ხმით, გიჟებს, ბელადომანიით შეპყრობილ ადამიანებს!) დაიწყებს ყვირილს,–არ ვარგა ეს ქვეყანა და შევცვალოთო. ჩვენც ავყვებით ამ ყვირილს და ვაი, ჩვენი ბრალი! ატყდება ერთი ალიაქოთი, ერთი უბედურება, ტლინკების ყრა... შენს მტერს, იმფერი!

# „არ დაიჯეროთ, არ დაიჯეეროოოთ!“



მერე ეს „ქარი-ზმატები“ ჩადგებიან ქვეყნის სათავეში და წინანდელზე უარესად აურევენ ქვეყანას! ხო, ხო, როგორ აურევეეენ?... თქვენი „მოწონებული“! აღეძვრებოდათ მადა და არ დაადგებოდათ საშველი მათ სტომაქს! არ დაადგებოდათ, სანამ, ბოლომდე არ ამოიყორავდნენ სულსა და მუცელს! აიღებდნენ სავარძელსა და ტრიბუნას და დაიდგამდნენ კაბინეტში, ქუჩაში, მღვიმეში, ყანაში, მინდორში თუ, ლაკადაში! ატეხდნენ დოლ-გარმონს, ცირკს, ათას სანახაობას და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ, – ხალხის კეთილდღეობისთვის „ვიკლავთო“ თავს! და ჩვენ ეს გვჯეროდა! გვჯეროდა და, ოხო, ხო, როგორ გვჯეროდა!

გამიგონია, – ერთ დიდ იმპერიაში, ერთი „დიდი“ იმპერატორი ყოფილა და ამ „დიდ“ იმპერატორს, როდესაც გაუგია, რომ მის ქვეყანაში ხალხი შიმშილით იხოცება და საცაა „ბუნტს“ აპირებენო, მათ დასამშვიდებლად და დასაოკებლად, ერთი ფანდი მოიგონა,–ცეკვა-თამაშზე „გადაიყვანა“ მთელი ქვეყანა და, თუ დამიჯერებთ, ამ „ფანდმა“ შედეგი გამოიღო, თურმე! ხალხს შიმშილი დაავიწყა და ასე, ცეკვა-თამაშით ებარებოდნენ უფალს! აბა!

...და მაინც, თუ დადგებოდა დრო „არ დაჯერების“, და ახლა სხვა ვინმე გამოჩნდებოდა, მეორე გიჟი, ახლა იმ მეორეს გაჰყვებოდა ხალხი და, როცა ეს მეორეც გამოიბესტებოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ხალხი აყვირდებოდა კვლავ! აყვირდებოდნენ და ამ ყვირილს ყურს რომ მოკრავდა კიდევ სხვა გიჟი, აბა ჰე, მოვიდა ახალი მხსნელიო და... კვლავ დაიწყებოდა, მარა რა დაიწყებოდააა!

...როგორ მეორდება ყველაფერი საუკუნეების შემდეგაც? ასე არა ვართ ახლაც?

და გვჯერა დაუჯერებელის! არ ვუგდებთ ყურს სიმღერას,–“არ დაიჯერო, არ დაიჯეეროო“!

ადამიანთა „კეთილდღეობა“ და ადამიანებზე „განუხრელი“ ზრუნვის ლოზუნგი ვარდებით ხელში წაიმძღვარეს „სამოქმედო პროგრამად“ ჩვენმა „იმპერატორებმაც“ და... გამრავლდნენ ქვეყანაში უპოვარნი, ლატაკნი, მათხოვარნი და... მაძღრებიც იყვნენ, აბა, რა! ოღონდ, ამ უკანასკნელთ, ხატზეც რომ დაუფიცო, მაინც ვერ დააჯერებთ მათხოვრები რომ ცხოვრობენ მათ მეზობლად, მათ სადარბაზოში, მათ ქალაქში და, რა თქმა უნდა, მათ ქვეყანაში. მერე რა, რომ ეს უპოვარნი სანაგვე ყუთებში იქექებიან? მერე რა, რომ მათთვის არ არსებობს უფლება, უფლება ავად გახდომისა?! ავად გახდება და ვისაც თავისი წონა ვერცხლი არა აქვს, მოკვდეს! მერე რა? რამდენი ადამიანი კვდება ქვეყანაზე? რამდენი უპატრონო მკვდარი იკრძალება (ესეც თუ ეღირსათ!), თუ გნებავთ, მუხათგვერდის სასაფლაოს მიმდებარე ხევ-ხუვებში? რამდენ დედას უკვდება შვილი უსაშველობით? რამდენ ხანდაზმულს უდგას სული ერთი ნატეხი გამხმარი პურით, რომელიც მღრღნელებს გადაურჩა? მერე რა, ზოგს ესეც არა აქვს! სამაგიეროდ, გუშინ ჩვენს მხარდაჭერას რომ თხოულობდნენ და ვიშვიშებდნენ, ისინი ხომ არიან გამობესტილები და, ხომ სხედან რბილ სავარძლებში? სხედან და, რა არის სამარცხვინო იმაში, ათიათასობით ვერცხლს რომ იჩხრიალებენ ჯიბეში? შავი „ჯიპებით“ დაქრიან ხალხის ფულით დაგებულ გზებზე? აბა, იმ „ჯიპებს“ გზა ხომ უნდათ? უნდათ!, აბა არ უნდა? იმ გზებით ხომ ის შემოდის... რა ჰქვიან და... ინვესტიციები! ინვესტიციებს კი, მოხმარება და ხალხისთვის შვების მოგვრა ხომ უნდა? უნდა! უნდა და სად შეინახონ, თუ არა საკუთარ ჯიბეეში, ან საზღვარგარეთის „ვერცხლსაცავებში“?

ხალხი? ხალხი კი ვის ახსოვს, თუ ძმა ხარ! ერთგან გაიხსნება (ისიც, თუ გაიხსნება!) 100-კაციანი „საწარმო“ და სხვაგან ქუჩაში ყრიან „არაკვალიფიციურ“ 500-ს! ჰოდა, ხომ ზრუნავენ უმუშევრობის აღმოსაფხვრელად? ზრუნავენ! ზრუნავენ და იმაზეც „ზრუნავენ“ ათასები „ლუმპელთა“ არმიას შეუერთდნენ!

ზრუნავენ ხალხის განათლების დონის ამაღლებაზეც! ზრუნავენ, რომ ვისწავლოთ სხვათა ენა, მაგრამ საკუთარი ენით რას ლოკავენ, არ ანაღვლებთ!

წინ მიდის ცხოვრება, მაგრამ საით მიდის, კაციშვილმა არ იცის! თუმცა, ვის რაში აინტერესებს სად მიდის! ალბათ, დიდი ბაზრისკენ, სადაც ყველაფერი იყიდება და ყველა ყიდის!

ისეთები კი, ვინც არ იყიდება და ვერც ყიდის, რა საჭიროა იყოს ქვეყანაზე და ხელს უშლიდეს „პროგრესს“?

ასე რომ, თუ გინდაც ასე არ იყოს, „არ დაიჯეროთ, არ დაიჯეეროოოთ“, მითქვამს მე თქვენთვის, ჩემო ბეჩავო ხალხო, ჩემო მოკეთეებო, ჩემო დებო და ძმებო, ჩემო ბიძაშვილებო და დეიდაშვილებო, ჩემო ძმისშვილებო და დისშვილებო, ჩემო მშიერო მეზობლებო!

არ დაიჯეროთ და თქვენ თვითონ მიხედეთ საკუთარ თავს, არ დაუჯეროთ არც ცარიელ „პო“-ს და არც “ო“ წინსართიან „პო“-ს, შეიძლება „ზიცია“ დაურთოს ვინმემ და, დავილუპებით, მე თქვენ გელაპარაკებით! დღეს თუ ხვალ იმ „ოპოზიციასაც“ „პოზიციის“ ჭირი გადაედება და მერე ნახეთ! კვლავ დაიწყება „თავმოწონება“– „გაზი და შუქი ნახევარ ფასში, წყალი კი, უფასო!“

არ იქნება ეს ასე, გეუბნებით მე თქვენ! ვინც ამას ამბობდა ის უკვე ბედნიერად ზის სავარძელში და სრულიადაც არ ანაღვლებს თქვენი ჭირი, დამიჯერეთ!... ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ იქნება! არ იქნება, სანამ ეს „ოპოზიციები“ „მაღლამსხდომთ“ არ შეახრამუნებენ და მერე, ერთმანეთს არ დახრავენ.

მერე კი, ვნახოთ!

ჰოდა, ამ განწყობით და ხვალინდელი დღის იმედით, უკეთესის სურვილებით მინდა მოგილოცოთ კურდღლისა და კატის დამდეგი ახალი წელი!

**ზაურ ფიფია**

**ინფორმაცია**

## გამგებელი ჟურნალისტზე მუქარისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ თეთრწყლების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული გიორგი წიკლაური, კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტის ნათია დანელიშვილის მიმართ განხორციელებული მუქარისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან იტყობინებიან.

გუბერნატორის პრესმდივნის ხათუნა გულიაშვილის განცხადებით, გამგებელი და გუბერნატორი საქმის ვითარებაში გაერკვნენ და თანამდებობიდან გიორგი წიკლაურის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღეს.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსის მედეა კეკელიას ინფორმაციით, წიკლაურმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ვაი ჩვენს პატრონს!**

# მაშ, რა გეგონათ, თბილისელებო?

## როგორ და რატომ დაეპატრონებიან „უპატრონო ეკლესიას“ უცხოტომელები

***რა გეგონათ, იმ საპრეზიდენტო არჩევნებში მიშა რომ გადააგდეთ და გრეჩიხა, ანუ ლევან გაჩეჩილაძე გააჯეჯილეთ, შეგარჩენდათ სააკაშვილი?***

***მერე ჰიპოდრომზე 300-ათასიანი ლაშქარი რომ შეყარეთ, მიშას ლამის პრეზენტაცია თუ ინაუგურაცია ჩაუშალეთ (ჰაი დედასა, რომ არა ღალატი)...***

***ან 26 მაისს „დინამოს“ სტადიონზე 150 ათასი კაცი რომ სკანდირებდით, ძირს მიშაო...***

***უფრო ადრე „ვარდების რევოლუციის“ სახელით მონათლულ მოედანზე, პარლამენტის წინ ხომ გრიალებდით და გრიალებდით...***

***შეგარჩენდათ ყველაფერს ამას, მიშა?***

გაიმართა წელში თუ არა, ხომ გიკვანტათ, დედაქალაქელებო, ეგრევე მოგვერდით დაგათხლიშათ მიწაზე. ადგა მაგარი მიშა და, დედაქალაქი ხან ბათუმში გადააქვს, ხან – ქუთაისში.

მე მაშინვე ვიცოდი, მეფე ვახტანგ გორგასალსაც არ აპატიებდა თბილისის დედაქალაქობას.

ოღონდ მე ჩემი ვერსია მქონდა. მეგონა, ხელისუფლებას რუსთავში გადმოასახლებდა.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსთავი თბილისთან ახლოს არის, თანაც მტკვრის ორივე მხარესაა განლაგებული.

მეორეც, რუსთავი უკვე უფუნქციო ქალაქია, ის, რისთვისაც აშენდა, რისთვისაც აღადგინეს ფერდულიდან, აღარ არსებობს. 44 მსხვილი თუ წვრილი სამრეწველო საწარმოდან მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. თვით მეტალურგიული ქარხანა, ამიერკავკასიაში კი არა მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი სრული მეტალურგიული ციკლის კომბინატი, გააცამტვერეს. ჰოდა, რუსთავი, რაღაცაში ხომ უნდა გამოიყენო კაცმა.

ისიც კი ვიფიქრე, თბილისელებზე გაბრაზებული მიშა, მისი არასტრატეგიულობის საბაბით რუსთავს გააპიარებდა, გაუჭირდებოდა თუ რა. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსთავი საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭეა, სასაზღვრო. აი, ყაზახებმა რუსეთის საზღვართან რომ გადაიტანეს თავიანთი დედაქალაქი ასტანა და რუსებს ფეხიააკვეთინეს იქიდან.

მაგრამ მიშა რისი მიშაა, თავისებურად რომ არ უკვანტოს ქვეყანას. კი თქვა, დედაქალაქიდან მივიპარებითო, მაგრამ ამჯერადაც თვალში ნაცარს გვაყრის – მიიპარება კი არა, თავისი ჯიბის ტელევიზიებში სიხარულისგან პიარში ერთმანეთს ეჯიბრებიან, ალბათ ისინიც თან მიჰყავს – ზოგი ბათუმში, ზოგი – ქუთაისში.

თუმცა ახლა მთავარია, ახალ წელს ბათუმიდან როგორ მოგვილოცავს მიხეილ ნიკოლაევიჩი, დავესესხები ერთ ცნობილ რუს პოლიტოლოგს.

ისე კი ეს ახალი წელი სულ სიმღერით დაგვეკვებება. მერე რაა, რომ 1 მილიონ 800 ათასზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანი შეეგებება კიდევ ერთ დამშეულ ახალ წელს – ტირილ-მოთქმაც ხომ თავისებური სიმღერაა! სამაგიეროდ ნაციონალები უკვე ზეიმობენ. არ გჯერათ? ჩართეთ „რუსთავი-ორები“, უკვე რა აურ-ზაურია ატეხილი ბათუმური „დიდი სახალხო-საახალწლო“ კონცერტების ირგვლივ. ჰოდა, დედაქალაქელნო, უკარით ტაში შორიდან! მაშ, ეგრე იცის მიშამა!!

ისე, ჩემო ძვირფასო თბილისელებო, 25 ნოემბერს პარლამენტის წინ გამოსვლა რომ არ დაგზარებოდათ, მერწმუნეთ, და ეგ თქვენც იცით, სამასი ათასი არა, მაგრამ ასი ათასი რომ მოვგროვილიყავით, მიშა ასე ვერ იფრენდა სათაფლიის გვირაბიდან მესტიამდე, მესტიიდან კიდევ – ბათუმამდე.

ერთსაც გეტყვით: მიშა პარლამენტს ქუთაისში, მთავრობას კი ბათუმში რომ გააპარებს, თვითონაც ხომ იქ აქვს დიდებული სამალავი. ჰოდა, მერე იმიტინგეთ რამდენც გინდათ! იცოდეთ, ვანო მერაბიშვილი არსად წამსვლელი არ არის!!

ისე ძალიან ნუ იდარდებთ – მიშას მარტო თბილისელი კი არა, სრულიად საქართველოს ქართველობა ეჯავრება. ამიტომ ხსნის საზღვრებს, უვიზო რეჟიმი ხომ მისწრებაა, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი, გაღატაკებულ-გასაცოდავებული ქალი თუ კაცი გადახვეწოს აქედან, ეს ხომ ნაციონალური ოცნებაა.

სამაგიეროდ სილნალის ბრწყინვალე ქორწინების სახლში კიდევ ერთმა უცხოელმა წყვილმა, ამჯერად მეორმოცემ, როგორც აღფრთოვანებულ-გაგიჟებული „რუსთავ-ორი“ იტყობინება, ჯვარი დაიწერა და საქართველოს მოქალაქეობაც გაირტყა.

მერე ჩვენს უკვე დაცლილ სოფლებში ათი ათასობით ბურს ჩამოასახლებს.

ქართველები რომ ვერ ქორწინდებიან, ოჯახებს ვერ ქმნიან, ეს ნაცებს ფეხებზე ჰკიდიათ.

ჰოდა, სანამ დედაქალაქელობას ჩამოგვართმევენ, ამ ახალ წელს გილოცავთ, თბილისელებო.

**გივი ჯახუა**

*P. S. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გამოვეხმაურო ჩემს უმცროს კოლეგას, სულითა და გულით პატრიოტს, მებრძოლ ჟურნალისტს, პირუთვნელ კაცს ჯაბა ხუბუას, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა და ჩემისთანა მიამიტი ასები და ათასები ააცდინა გზის გამრუდებას, თორემ ჩვენ უკვე მთელი შემართებით ვემზადებოდით ახალი „ქართული პარტიის“ მხარდასაჭერად.*

*ადრეც ვთქვი, ყველა ის მიტინგი, რომელიც უშედეგოდ დასრულდა, მიუხედავად მისი მრავალრიცხოვნებისა, მაშინაც ბრალდებოდა ლევან გაჩეჩილაძეს, მაგრამ ამის დაჯერება არა და არ გვსურდა.*

*ახლა კი ყველაფერი დღესავით ნათელია და ეს დიდი ტკივილია, უფრო კი – ტრაგედია.*

*და კიდევ მინდა მივესალმო ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო ტელევიზიით მისმა ვაჟკაცურმა გამოსვლამ ხალხს იმედი გაუჩინა. იქნებ მომავალში მაინც ავირიდოთ გამყიდველები, ნუთუ სიმართლისთვის მებრძოლი კაცი გაწყდა საქართველოში?*

**გ. ჯ.**

წარსული – მომავლისთვის

# დღეს ვინ იხსნის ქართველთ მიწებს „საუდელოდ“ გამოცხადებისგან?

ხმა გავრცელდა, კახეთში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ბურების ჩამოსახლებას აპირებენ, რათა ადგილობრივებს მიწაზე მუშაობა და სოფლის მეურნეობის წარმართვა ასწავლონო (?!).

ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგებ ადამიანი! სხვას არაფერს ვიტყვით გარდა ერთისა: საინტერესოა, თავის დროზე საქართველოს პურის ბეღლად წოდებულ შირაქის მიწას ვინ ამუშავებდა? მაშინ, იმ „საზიზღარი“ კომუნისტების ზეობისას, იცოდნენ იქაურებმა მიწაზე მუშაობა, დღეს კი სხვისგან აქვთ ეს სასწავლი?

თუმცა ამგვარი განსაცდელი ქართულ მიწას და ქართველ ხალხს ადრეც, მეფის რუსეთის დროსაც ჰქონდა. დღეს სწორედ ამაზე და ერთ მამულიშვილზე გვსურს მოგითხროთ, ვინც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თავიდან აარიდა თანამემამულეებს ეს განსაცდელი და ქართული მიწა ქართველებს შეუნარჩუნა.

ლეგენდარულ ექიმზე ნიკო ჯანდიერზე მოგახსენებთ.

იგი 1873 წელს დაიბადა ზაქათალაში. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია. ილია ჭავჭავაძის (სათავადაზნაურო ბანკის) ფინანსური მხარდაჭერით ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და იქვე ტოვებდნენ სამუშაოდ, გულმა მაინც სამშობლოსკენ გამოუწია.

სამწუხაროდ, თბილისის გუბერნატორი (რა თქმა უნდა, რუსი) წინაალმდეგი იყო, ყველაზე მოკრძალებულ სოფლის ექიმის თანამდებობაზეც კი ქართველი დაენიშნა. მეფის რუსეთის ადმინისტრაციას საიდუმლო ინსტრუქციები მოსდიოდა პეტერბურგიდან – ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ექიმად არაქართველი ესკულაპები დაენიშნათ, ხოლო ქართველი ექიმები რუსეთის შორეულ, მიყრუებულ გუბერნიებში დაემკვიდრებინათ. ამ უსამართლობის შესახებ გაიგეს თბილისში, დატრიალდნენ ნათესავი თავადები და, რაც მთავარია, ტფილისის გუბერნიის მთავარი ექიმი ტიტე ქორიძე და როგორც იქნა, 1900 წლის 20 აგვისტოს თავად ნიკო ჯანდიერს აღირსეს სოფელ ველისციხის ქსენონის (ამბულატორიის) რიგითი ექიმის თანამდებობა!

ნიკო ჯანდიერმა ენერგიულად დაიწყო მუშაობა ველისციხის ქსენონში. ავადმყოფები მოაწყდნენ არა მარტო ამ დიდი სოფლიდან, არამედ მთელი კახეთიდან და თბილისიდანაც კი! დღეში საშუალოდ იღებდა 47 ავადმყოფს. 1904 წელს გადაიყვანეს სიღნაღის მაზრის ექიმად, სადაც ცხოვრობდა 104 ათასამდე ადამიანი (უფრო მეტი, ვიდრე თელავის მაზრაში). ექიმი უნდა მომსახურებოდა 74 დასახლებულ პუნქტს (დაბებს და სოფლებს). და ისიც შეუსვენებლივ, ყოველდღე – დღისითა და ღამით, დარსა თუ ავდარში მიეშურებოდა ავადმყოფის დასახმარებლად.

ის საკვირველი ექიმი იყო. დიაგნოზს ხშირად შეხედვით ან გამოლაპარაკებით (ანამნეზის შეკრებით) სვამდა. ახასიათებდა ავადმყოფის მოსმენის საკვირველი უნარი. ხალხში ნიკო ჯანდიერის სამკურნალო ძალის რწმენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ავადმყოფი როგორც კი შეიტყობდა ნიკო-მკურნალი მოვიდაო, მაშინვე უკეთ ხდებოდა. მას სნეული ადამიანისთვის უბრალო წყალიც რომ მიეცა და ეთქვა, რომ ეს წამალია, უთუოდ მოარჩენდა, იმდენად სწამდა ხალხს მისი წამლის ძალა.

**როგორ გადაარჩინა ექიმმა ნიკო ჯანდიერმა ქიზიყი უცხოტომელთა ჩასახლებისგან**



ქიზიყმა უსაზღვროდ შეიყვარა ექიმი ჯანდიერი და მას „პატარა ქრისტე“ შეარქვა. ავლიპ ზურაბიშვილი იგონებდა: ნიკო ჯანდიერს ხალხში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ჯანდიერს ქიზიყის არაქართული მოდგმის ჩარჩ-ვაჭრებთან და მევახშეებთან ბრძოლაში, რომელთაც ვალში გახვეული ჰყავდათ კახეთის მოსახლეობის უმრავლესობა. ქიზიყელები, მათი მცირერიცხოვანი ინტელიგენციის მეთაურობით, არ შეურიგდნენ ასეთ დაკაბალებას და შეეცადნენ მათგან თავის დაღწევას: ქვემო მაჩხაანში სავაჭრო დეპო გახსნეს, სადაც იაფად იყიდებოდა გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ფართლეულობა, სხვადასხვა წვრილმანი საქონელი. ეს არ ეჭაშნიკათ ადგილობრივ არაქართველ ვაჭარ-მევახშეებს. მათ ისეთივე დუქნები გახსნეს, ოღონდ ეშმაკური ფასდაკლებით. სამწუხაროდ, ქართველი მოსახლეობა წამოეგო მათ ანკესს და „იაფი“ საქონლის გასაღებით ხელი შეუწყო ქართველთა სავაჭრო დეპოს გაკოტრებას. ვერაგი უცხოტომელები სიხარულს ვერ მალავდნენ და ქართველებს ხმამაღლა დასცინოდნენ – „გიჟ ვრაცუებს“ ეძახდნენ.

ნიკო ჯანდიერი გულისტკივილით შეჰყურებდა გადამთიელი ვაჭარ-მევახშეების აღვირახსნილ პარპაშს სიღნაღის მაზრაში. მისი თაოსნობით შეძლებულმა ქართველებმა შეაგროვეს თანხა და დააარსეს საკრედიტო ბანკი, სადაც ყოველ ქართველს შეეძლო შეღავათიან ფასებში აეღო სესხი (კრედიტი). ამან საშუალება მისცა ქართველობას, შეეძინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შხამქიმიკატები და მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქონელი, რაც გლეხებს დასჭირდებოდათ.

ამ ბანკის გახსნამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა ქიზიყელ გლეხთა სასარგებლოდ: გაუმჯობესდა მევენახეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა, აიგო სახლები. თბილისში აშენდა თამბაქოს ფაბრიკა „ქიზიყი“.

მოკლედ, ქართველმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ამან უცხოტომელ ვაჭარ-მევახშეთა გაბოროტება გამოიწვია. მათ ხელიდან ეცლებოდათ სხვადასხვა ხრიკებით შეძენილი ქონება [illegible] და ბეზღებებით ადგილობრივ და ტფილისის ადმინისტრაციაში. მთავარი სამიზნე იყო ექიმი ჯანდიერი. აღსანიშნავია, რომ ჩარჩ-ვაჭრების უმრავლესობა ნიკოსაგან, როგორც მკურნალისგან, დავალებული იყო, რადგან მას ბევრი მათგანის სიცოცხლეც ჰქონდა გადარჩენილი. ნიკო ჯანდიერს სთავაზობდნენ დიდძალ თანხას, რომ სიღნაღს გასცლოდა, მაგრამ ის არ შეეპუა ადგილობრივი ბობოლების მუქარებს. მან შექმნა შირაქის მეცხვარე-მესაქონლეთა საზოგადოება „მწყემსი“, რომელსაც შეღავათიან სესხს აძლევდა საკრედიტო ბანკი. ნიკო მონაწილეობდა კახეთის რკინიგზის მშენებლობაში. მას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიზიყის დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში.

ცარიზმმა, ისარგებლა რა ქართველი თავადაზნაურების ბედოვლათობითა და უნიათობით, ხელში ჩაიგდო უზარმაზარი სავარგულები ქიზიყსა და ალაზნის პირას. მეფის მოხელეებმა ქართველთა მიწები თავხედურად მიითვისეს და „საუდელოდ“ გამოაცხადეს. ისინი გადამთიელებს იწვევდნენ რუსეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან და თითქმის მუქთად აძლევდნენ საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებს. უმიწაწყლო ქართველებს კი უარით ისტუმრებდნენ. რუსი ჩინოვნიკების ცინიზმი უსაზღვრო იყო: ქართველები ველური, უქნარა, ზარმაცი და უცოდინარი ხალხი ხართო. აი, ჩამოვლენ გერმანელები, ბერძნები, კაზაკები და მუქთახორა ქართველებს გასწავლიანო მიწის დამუშავებას, ვაჭრობას, ხელოსნობას.

მოკლედ, უცხოტომელები თქვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ჩამოდიანო(?! ).

იხ. 6 გვ.

ირაციონალური გამოკვლევა

# მორიგი მტკიცებულება

**ომის, ოკუპაციის და, ამავე დროს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის არარსებობის პირობებში, მოსახლეობა რეალური აწმყოს ახსნას და მომავლის გათვლას ცდილობს ყოფითი ლოგიკის და ასევე ყოფითი ანალოგიების საშუალებით. სწორედ ასეთ აზროვნებას ადამიანი ხშირად მიჰყავს მცდარ დასკვნამდე. ამის გამოყენებას კი იოლად ახერხებს კოლაბორაციონიზმი. ყოფითი ცნობიერებით შობილ კითხვას მისთვის გასაგები ენით უნდა გაეცეს პასუხი. ამავე დროს, ერთ კითხვაზე პასუხის რამდენიმე ვარიანტია საჭირო – ყოფით ცნობიერებას რამდენიმე მტკიცებულებიდან ერთის არჩევის თავისუფალი შესაძლებლობა უნდა მიეცეს. მაგალითისთვის რუსულ თემას შევეხოთ და ერთ-ერთი „მორიგი“ მტკიცებულება მოვიყვანოთ:**

რიჩარდ ლენდსმა, ბოსტონის უნივერსიტეტიდან, მეტწილად ირაციონალური გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელიც ეხება არაბთა სურვილს არ სცნონ ისრაელი.

ლენდსის აზრით კონფლიქტის არსი, პალესტინელების ხედვით, ძირეულად განსხვავდება დასავლეთური აღქმისაგან. დასავლეთს სჯერა, რომ კონფლიქტის ამოწურვა შესაძლებელია ერთგვარი („სწორი და მცდარი“) დამასრულებელი ბალანსის მეშვეობით. პალესტინელების (უფრო სწორად, არაბთა) თვალთახედვით კი პრობლემა არსებობს „შეურაცხყოფასა და ღირსებას“ შორის, და ამრიგად, კონფლიქტის დასრულება მხოლოდ შეურაცხმყოფელის განადგურებითაა შესაძლებელი. „15 საუკუნის მანძილზე – წერს ლენდსი – ისლამი ებრაელებში ხედავდა მხოლოდ მისი უსაზღვრო ძალაუფლების სუბიექტებს, რომლებიც ლტოლვილთა მდგომარეობაში არსებობდნენ მათთვის უცხო მებატონეების მიერ დაწესებული კანონების თანახმად“. ისრაელის მიმართ არაკეთილგანწყობა და მტრობა უარყოფის ფუნდამენტალური, უფრო სწორად დოგმატური, ფორმაა: არაბებმა პატარა ერისგან მარცხი განიცადეს – იმ ერისგან, რომელიც წარსულში მთლიანად მათ ემორჩილებოდა. პალესტინელების აზრით მანამდე, სანამ არსებობს ისრაელისკენ მიმართული, თუნდაც ერთი ხელით ნაკეთი სარაკეტო მოწყობილობა, ის (ისრაელი) მხოლოდ და მხოლოდ დროებითი გაურკვევლობაა ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ რუკაზე.

თითქოს რა შედარების მოყვანაა შესაძლებელი ამასთან დაკავშირებით? ტრადიციები და ფსიქოლოგია, მათი ფართო გაგებით, მიუხედავად ყველაფრისა, წარმოშობენ შედარებების და ანალოგიების შედარებების შესაძლებლობას, ვინაიდან ხალხთა და ერთა ურთიერთობების ისტორია, მის მთავარ საკვანძო მომენტებში, ყოველთვის მსგავსი იყო.

იმპერიები ჩნდებოდნენ და ყოველი მათგანი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიების გაფართოებას, საკუთარი გავლენის გავრცელებას იქაც კი, სადაც ხელი არ მიუწვდებოდა. იმპერიები ქრებოდნენ, მაგრამ მათი „გენეტიკური მემკვიდრეობა“ გადაეცემოდა შემდგომ მემკვიდრეებს. რუსეთის მონარქიული იმპერია დაიმსხვრა და მისი იმპერიული უნარ-ჩვევები საბჭოთა კავშირს გადასცა. დაილუპა და გადაიკარგა საბჭოთა კავშირი, მაგრამ მისი გენეტიკური მეხსიერება აღმოცენდა რუსეთის ფედერაციაში.

ლენდსის პერეფრაზირებისას, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ: თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში კომუნიზმი საბჭოთა რესპუბლიკების ერებში ხედავდა მისი უსაზღვრო ძალაუფლების სუბიექტებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მათთვის მოსკოვში დაწესებული კანონების თანახმად. რუსეთის ნება, დაიმორჩილოს საქართველო, უარყოფის ფუნდამენტალური, უფრო სწორად დოგმატური ფორმაა: რუსეთმა პატარა ერისგან (დაუმორჩილებლობის ფორმით) მარცხი განიცადა – იმ ერისგან, რომელიც წარსულში მთლიანად მას ემორჩილებოდა და უეცრად დამოუკიდებლობა მოიწადინა.



პუტინ-მედვედევის გარემოცვის და მოსახლეობის 75–80 პროცენტის თვალთახედვით მანამდე სანამ იარსებებს თუნდაც ერთი შესაძლებლობა (არა აქვს მნიშვნელობა ლეგიტიმური თუ პირიქით) საქართველოს სახელმწიფოებრიობის დესტაბილიზაციისა, ის (საქართველოს რესპუბლიკა) მხოლოდ დროებითი გაურკვევლობაა საბჭოთა კავშირის ყოფილ რუკაზე.

ლენდსმა მის ნაშრომში არაბების პოზიციას არა მარტო ირაციონალური, არამედ თვითდამანგრეველიც უწოდა. დამცირების შეგრძნება არაბებში „დისფუნქციონალურ ქცევას“ იწვევს. მანამდე სანამ არაბები არ აღიარებენ ისრაელს, მათი ღირსება შენარჩუნდება... თუ ლენდსი მართალია ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის დასრულების იმედი გამორიცხულია. „ისრაელის ნებისმიერი გამარჯვება“ – წერს ლენდსი – „არაბთა და მთელი მუსლიმანური ერის წაგებას და დამცირებას ნიშნავს“. პალესტინელების მიერ ებრაელებისადმი რაკეტების დაშენა სრულიად უაზრო, უგუნური და თვითმკვლელური საქმეა დასავლეთის აზრით, მაგრამ არა არაბთა.

არის კი შესაძლებელი, ამ შემთხვევაში, გადავხედოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს?

არაბული სამყარო იმპერია არ არის და ამრიგად მას ლოგიკური ისტორიული დასასრული – ხრწნა და დაშლა – არ ემუქრება. რუსეთი კი იმპერიული საარსებო ციკლის კლასიკური მაგალითია, თავისი ლოგიკური ისტორიული დასასრულით.

ამიტომ საქართველოს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ისტორიულ პერსპექტივაში მისი მშვიდობიანი კეთილდღეობა გარდაუვალია. ერთადერთი რაც დააჩქარებს დაბოლოებას – აქტიური, მაგრამ გაწონასწორებული ქმედებებია, ისტორიის ბუნებრივ მსვლელობას რომ უბიძგებენ.

**მალხაზ ჟვანია**

საგადასახადო კოდექსი

# დაზოგილი დრო და ფული: არაპირდაპირი ინვესტირება კერძო სექტორში



**ქვეყნის** უმაღლესი ეშელონის ჩინოსნებიდან მოყოლებული, „საქმეში ჩახედული“ ნებისმიერი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელისთვის თუ მისი ხელქვეითისთვის, ვისაც აქამდე ეს ამბავი, რომლის შესახებ მოგახსენებთ, ერთხელ მაინც მოუსმენია, ეჭვი არ შეეპარებოდა, რომ საქართველოში, როგორიც გნებავთ „ზომის“ თუ მიმართულების ბიზნესის საწარმოებლად, საგანგებოდ გამორჩეული პირობები იყო შექმნილი. მავანნი ამას „ისე ტყუილად“ თქმას არ სჯერდებოდნენ და დასტურად ათობით უცხოური კომპანიის გამოკვლევის შედეგად შედგენილ რეიტინგებს გვთავაზობდნენ, ნახეთ, როგორი ლიბერალური ადმინისტრაციულ-ფისკალური პოლიტიკის გამტარებლები ვართ, კაცმა ოღონდ პატიოსნად იმუშაოს და მისთვის ხელის შემშლელი არავინ იქნება, ბიზნესის „დაწერვაზე“ ლაპარაკიც ხომ არ არისო...

ახლა კი აღმოჩნდა, რომ, თუმცა, აქამდე ყველაფერი ასე იყო, თურმე, მთლად ეგრეც არ ყოფილა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძნელი მოსაძებნია ქვეყანა, სადაც მეწარმე სუბიექტების სახელმწიფო ფისკალურ ორგანოებთან ურთიერთობის მომწესრიგებელი უმთავრესი დოკუმენტი – საგადასახადო კოდექსი – ვერა და ვერ დალაგდა. ახლა მთლად ახალი საგადასახადო კოდექსია შემოღებული, რომელიც მომავალი წლიდან ამოქმედდება. ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ **მთავრობა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ბიზნესმენებმა საგადასახადო ორგანოები საკუთარ პარტნიორებად აღიქვან და არა „ჩასაფრებულ“ სუბიექტებად.**

საგულისხმო გამონათქვამია.

მარკ ტვენის არაერთხელ მოხმობილი ფრაზისა არ იყოს, ორი რამ არის გარდუვალი ამ ქვეყნად – სიკვდილი და საგადასახადო ინსპექტორის ვიზიტიო. განა გეგულებათ, პატივცემულო მკითხველო, ისეთი ვინმე ბიზნესმენი, რომელიც ასეთ „მუდმივ ვიზიტორს“ მაინცდამაინც „ჩასაფრებულ სუბიექტად“ უმიზეზოდ აღიქვამდეს? ესე იგი, იყო და, როგორც ჩანს, დღესაც (ნაწილობრივ მაინც) არის ამის სავსებით რეალური საფუძველი! **ჰოდა, რა არის იმის გარანტია, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასა და ასევე ახლახან გამოცხადებულ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკის გატარებასთან ერთად ახალი წლიდან ყველაფერი ერთიანად შეიცვლება? განა სანდო და მთის წყაროსავით ანკარა და გამჭვირვალე ბიზნესგარემოს შექმნა ასე ერთი ხელის დაკვრითაა შესაძლებელი?**

მომავალი წლიდან ასამოქმედებელი ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ერთობ მნიშვნელოვანი სიახლე შემოვა ეკონომიკურ საქმიანობაში საყოველთაო სამართლიანობის დამყარების თვალსაზრისით: **ამოქმედდება ეკონომიკური ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მთავრობის მეთაური დანიშნავს და რომლის პირდაპირი მოვალეობა გადასახადების გადამხდელთა ინტერესების დაცვა იქნება.** უდავოა, რომ სიახლე, თავისთავად, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუკი ადამიანის უფლებათა დამცველის ინსტიტუტის არაერთწლიანი მოღვაწეობის პრაქტიკას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში „ვინმე დაჩაგრულის“ დაცვა, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან რთულია, ეკონომიკის საკითხებში ომბუდსმენის მოღვაწეობისგან მყისიერ და, მით უმეტეს, ვითარების კარდინალურად შეცვლის შედეგებს ნაკლებად უნდა ველოდოთ.

როგორც აღნიშნავენ, ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ე.წ. „პატიოსნების“ პრინციპი დამკვიდრდება. მისი არსი ის არის, რომ თუ **გადასახადის გადამხდელის მხრიდან დარღვევა შეცდომამ ან გარკვეული დებულების უცოდინრობამ გამოიწვია და გადასახადების გადახდისგან თავის არიდებას მიზნად არ ისახავდა, მის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს აღარ მიმართავენ.** აქამდე, ნეტავ, რა პრინციპით მოქმედებდნენ ფისკალურ ორგანოთა თანამშრომლები, ანდა მომავალში, კონკრეტულად, როგორ უნდა განსაზღვრონ ის გარემოება, გადასახადების გადამხდელმა შეგნებულად არ გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები თუ შეცდომა უნებლიეთ (ან უცოდინრობით) მოუვიდა?

ანდა, ბიუჯეტს რა ხეირი იმისგან, რომ ახალი წლიდან სალარო აპარატის უქონლობის შემთხვევაში მეწარმეს პირდაპირ ჯარიმას კი არ „აჭკიდებენ“, არამედ თავდაპირველად ჯერ გააფრთხილებენ? აქ ერთგვარ „[illegible]ბას“ აქვს ადგილი: გაისიდან სულაც ახალი, ე.წ. „ევროპის ტიპის“ სალარო აპარატები შემოაქვთ, რომლებიც, მეწარმეებმა, ცხადია, თავიანთი სახსრებით უნდა შეიძინონ. ამ ტიპის აპარატებზე კონტროლი, ფაქტობრივად, ავტომატურ რეჟიმში დაწესდება, რაც ფისკალურ ორგანოებს მუშაობას გაცილებით გაუადვილებს. ამ ტიპის სალარო აპარატები საბაჟო ტვირთების გაფორმების ეკონომიკური ზონების (გეზების) მუშაობასაც გააადვილებს, სადაც საგანგებო ინფრასტრუქტურა მოეწყობა. მათგან პირველი გაისად, 15 იანვარს ადლიაში, 25-ში კი ფოთში გაიხსნება და ერთდროულად ასობით სატვირთო მანქანის მომსახურების შესაძლებლობას შექმნის. **ეს კი, თავის მხრივ, იმპორტიორებს მნიშვნელოვანი სახსრების დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს, რამაც შიდა ბაზარზე იმპორტული საქონლის გაიაფების წინაპირობა უნდა შექმნას. თუმცა როგორ მოხდება რეალურად, ამას მომავალი გვიჩვენებს.**

მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ჩანს, მეწარმეებისთვის ყოველთვიური სავალდებულო დეკლარირების პერიოდის თანდათანობით ყოველკვარტალურით შეცვლა, რაც მათ დიდ დროს დაუზოგავს მათ.

ბოლოს აუცილებლად უნდა ითქვას, ჩვენი აზრით, ერთობ მნიშვნელოვან სიახლეზე. ესაა დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის შემოღება. მის თანახმად, **გადასახადის გადამხდელი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ს სახით 200 ათას და მეტ ლარს გადაიხდის, საქონლის იმპორტისას ამ სახეობის გადასახადის გადახდისგან გათავისუფლდება. ეს კი, თავის მხრივ, იმპორტიორს საკმაოდ სოლიდურ თანხებს გაუთავისუფლებს, რაც, ფაქტობრივად, კერძო სექტორში სახელმწიფოს მხრიდან არაპირდაპირი ინვესტიციების განხორციელების ტოლფასია.**

**ოთარ ტურაბელიძე**

წარსული – მომავლისთვის

(მეხუთე გვერდიდან)

ქართველ ხალხს ქიზიყში სამუდამოდ ეკარგებოდა მამა-პაპათა სისხლით გაპოხილი მიწები. უცხოტომელების სამუდამო დამკვიდრებას და ქართველთა ამოძირკვას თითქოსდა წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

და ამ გამოუვალ მდგომარეობაში ნიკო ჯანდიერმა დიდი გამჭრიახობა გამოავლინა: მან დაიწყო თავადაზნაურებთან კარდაკარ სიარული, მიაგნო კერძო საკუთრების დამადასტურებელ ძველ სიგელ-გუჯრებს, რაც მეფე ერეკლე II-ს გაუცია კახელი თავადებისთვის და თუშ-ფშავ-ხევსურებისთვის სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის. ამით გახარებულმა ნიკო ჯანდიერმა სასამართლოში უჩივლა „საუდელო სამმართველოს“ და პროცესი მოიგო.

ცარიზის მექრთამე ჩინოვნიკები იძულებული გახდნენ, შერიგებოდნენ ქიზიყის მიწა-წყლის დაკარგვას. ამრიგად, კახეთის თავადებმა ნიკოს გამჭრიახობით დაიბრუნეს დაკარგული მიწები.

სამწუხაროდ, საქეიფოდ სალერღელაშლილი ეს მემამულეები მზად იყვნენ, ამდენი წვალებით დაბრუნებული მამულები მიეყიდათ უცხოელი ვაჭრებისთვის. ამ გამოუვალ მდგომარეობაშიც ისევ ნიკო ჯანდიერმა იმარჯვა. მან საკრედიტო ბანკიდან თანხა გამოუყო უმიწაწყლო ქიზიყელებსა და იმერლებს, რომლებმაც მოქეიფე თავადებისგან იაფად შეიძინეს მიწა-წყალი. ნიკომ თავისი დანაზოგიდანაც შეიძინა ადგილ-მამულები ბედოვლათი თავადაზნაურებისგან და ძალიან იაფად მიჰყიდა უმიწაწყლო ქართველ გლეხებს.

როცა ამ წამგებიანი „კომერციის“ შესახებ ნიკო ჯანდიერს ჰკითხა მისი ბიოგრაფმა თამარ ვაჩნაძემ, ნიკომ უპასუხა:

ვყიდულობდი თავადების მიწას, რათა ის უცხოტომელებს არ ჩავარდნოდათ ხელში. უცხოტომელი ვაჭარი ქართველ გლეხს მიწას არ დაანებებდა, ხოლო თუ გაჰყიდდა, მამასისხლად! გლეხს მიწა უჭირდა, ვერ შეიძენდა, იჯარაც ბევრად უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე ჩემგან მიწის ყიდვა. უმიწაწყლოდ კი გლეხი ვერ გაჩერდებოდა და ბოგანოდ ქცეული ქალაქს შეეხიზნებოდა, ან რუსეთში გაიქცეოდა. ქიზიყი ქართველებისაგან დაიცლებოდა.

## დღეს ვინ იხსნის ქართველთ მიწებს „საუდელოდ“ გამოცხადებისგან?

– კი მაგრამ, ბატონო ნიკო, ბარემ გეჩუქებინათ თქვენი ნაყიდი მიწები გლეხებისთვის, ისინი განა უფრო მადლიერები არ დარჩებოდნენ?

– არა! – ნაჩუქარი ასე ტკბილი არ არის, როგორც საკუთარი შრომით შეძენილი და მათ ბევრი მოშურნეებიც გამოუჩნდებოდათ. მე რომ საჩუქრად ადგილ-მამული მიმეცა უმიწაწყლო გლეხებისთვის, სულ ათიოდეს თუ გავახარებდი. ჩემი შემოსავალი მეტს ვერ გასწვდებოდა, მეტის ყიდვას კი მე ვერ შევძლებდიო.

აღსანიშნავია, რომ ნიკოს, მიუხედავად ბევრი შემოსავლისა, საკუთარი სახლი სიღნაღსა და თბილისში არ ჰქონია და ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა. მან მთელი თავისი შემოსავალი მოახმარა უმიწაწყლო ქართველთა დასახლებას სიღნაღის მაზრაში. ამით მან ქიზიყს თავიდან ააცილა ეთნოკატასტროფა, რაც დღეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მძვინვარებს.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქიზიყს და მთელ საქართველოს განსაკუთრებულად უყვარდა "პატარა ქრისტედ" ხსენებული ნიკო ჯანდიერი. 1917 წელს, როცა ექიმი თვითონ გახდა ავად პარტახტიანი ტიფით, მთელი ქიზიყი და კახეთი გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, ეხსნა "პატარა ქრისტე". ეტყობა, მართლა ამ ლოცვებმა იხსნეს მკურნალი ჯანდიერი სიკვდილისგან.

1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, ქიზიყში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ უპირატესად არაქართველი უცხოტომელების ნაშიერი კომუნისტ-კომკავშირლები, ჩეკისტები. მათ დრო იხელთეს და ღვაწლმოსილ მკურნალს სიკვდილით დაემუქრნენ, თუ არ გაეცლებოდა ქიზიყს. განსაკუთრებით ნიკო ჯანდიერს და ექიმ-ოფთალმოლოგ გიორგი გიუნაშვილს ავიწროებდა სიღნაღის რაიკომის მდივანი, სასტიკი ბოლშევიკი მოსე ვარამაშვილი. ის თურმე სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის მესამე კურსიდან გაურიცხავთ ყაჩაღობა-ბანდიტობისთვის. მეფის მთავრობამ ის კატორღაში გაგზავნა, იქიდან გამოიქცა და გაავებული განსაკუთრებით თურმე სახელოვან ექიმებს ემტერებოდა. ვერ იტანდა ნიკო ჯანდიერს და თანაკურსელ გიორგი გიუნაშვილს.

ნიკო ჯანდიერი გაეცალა პირსისხლიან ბოლშევიკს, რომელიც სიღნაღის სრულუფლებიანი ხელისუფალი გახდა და დაბრუნდა თბილისში, სადაც მუშაობა დაიწყო პოლიკლინიკაში უბნის ექიმად. რაც შეეხება ექიმ-ოფთალმოლოგ გიორგი გიუნაშვილს, ის არ შეეპუა კაენის ცოდვით დამძიმებულ თანაკურსელს და განაგრძო მუშაობა სიღნაღში. აქ მან დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც თვალის უბადლო ექიმმა. მასთან პაციენტები თბილისიდანაც ჩამოდიოდნენ ხოლმე. შურისგან დაბოღმილმა სიღნაღის დიქტატორმა 1922 წელს დააპატიმრა ყოფილი თანაკურსელი. სიღნაღელებმა იჩივლეს ყოფილ ფერშალ სერგო ორჯონიკიძესთან, რომელმაც გაათავისუფლა ექიმი გიორგი გიუნაშვილი.

1924 წლის აგვისტოს ანტი-საბჭოთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში ზოგადად და კახეთში კერძოდ, დიდი სისხლის კალო დატრიალდა, პირველად აქ ჩამოვიდა ე.წ „ტროიკა“ – დამსჯელი სამეული ლევან ღოღობერიძის, მიხა კახიანის და ივანოვ-კავკაზსკის (კასპელი სომხის) შემადგენლობით. მათ ამოჟუჟეს კახეთის თავადაზნაურობა (რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ).

იმ დროს, 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში, სიღნაღს სისხლიანი წვიმების დროს „ესტუმრა“ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი (სხვათა შორის, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის წარჩინებით კურსდამთავრებული) და მისი მეუღლე, მარიამ (მარუსია) მიქელაძე – განათლების სახალხო კომისარი. სწორედ მათს „სტუმრობას“ დაემთხვა – შემზარავი შემთხვევა – „ვერშემდგარმა ექიმმა“ ვარამაშვილმა – სიღნაღის მაზრის რაიკომის მდივანმა საავადმყოფოდან გამოაყვანინა თეთრხალათიანი ექიმ-ოფთალმოლოგი გიორგი გიუნაშვილი, საკუთარი ხელით შეაგდო „კოლეგა“ სატვირთო მანქანაში და პირადად დახვრიტა ბოდბის მონასტერთან. ასეთი შემზარავი აღსასრული თავიდან აიცილა ნიკო ჯანდიერმა და 1921 წელს გონივრულად განერიდა სიღნაღს, სადაც 20 წლამდე დაჰყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან მუშაობა გააგრძელა თბილისის პოლიკლინიკაში უბნის ექიმად, თუმცა ივანე ჯავახიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, მას ცნობილი თერაპევტი ალექსანდრე ალადაშვილი მიუგზავნა და შესთავაზა თერაპიის კათედრის გამგის თანამდებობა. ზედმიწევნით თავმდაბალმა ნიკო ჯანდიერმა მადლობა უთხრა ივანე ჯავახიშვილს (სხვათა შორის გიმნაზიაში თანაკლასელს) და უარი განაცხადა ამ საპატიო თანამდებობაზე იმ მოტივით, რომ ის უკვე ხანდაზმულია (არადა, მხოლოდ 50 წლისა იყო), მხოლოდ პრაქტიკოსი ექიმია და არა მეცნიერი!

1959 წლის 28 იანვარს ნიკო ჯანდიერს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. 1964 წლის 22 დეკემბერს 91 წლის დიდი ექიმი გარდაიცვალა და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

1978 წელს რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა თამარ ვაჩნაძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია ბრწყინვალე ექიმის და დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანდიერის ცხოვრების შესახებ. ჩვენი წერილი გვინდა გავასრულოთ აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილის სიტყვებით: „ნიკო ჯანდიერი ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს ქართული კულტურის ისტორიაში“.

**ელგუჯა ადამია,**
პროფესორი;

**ხუტა პაჭკორია,**
გასტროენტეროლოგი;

**ლევან ძნელაძე,**
ქირურგი, რესპუბლიკური ცენტრალური საავადმყოფოს ექიმები.

## ⊙ გულახდილი საუბარი

# სხვის იმედად ჩვენი მტერი იყოს

### წერილი ერთ ნაცნობ ოპოზიციონერს

*როგორ დავიჯერო ჭიაურელის ფილმი „გიორგი სააკაძე“ არ გქონდეთ ნანახი — მოურავი ბავშვს რომ ასწავლის, ცალ-ცალკე ისარი ადვილად იმტვრევა, ერთად შეკრულს კი ვერავინ ერევაო. ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად ერი და ბერი გაერთიანდითო, გევედრებათ, მხარი მხარს მიეცით და ისე ეკვეთეთ მტერსო, მაგრამ თქვენი ამბიციების მოთოკვას საშველი არ დაადგა: თავის დროზე კომუნისტებმა ლამის მსოფლიოს ყველა პროლეტარი შეაერთეს და თქვენ რა დაგემართათ, ვაკელები და ვერელები ვერ გაგიერთიანებიათ?! ერთ თქვენგანს უბრძანებია — მოსაწვევი გვიან მივიღე და იმიტომ არ მივედი სახალხო კრებაზეო. ეს რამ გათქმევინა, კაცოო?! ღრეობაზე კი არ იყავი დაპატიჟებული, საქვეყნო საქმეზე გიწვევდნენ. აბა, ერთი მაღალ თანამდებობაზე დასანიშნად გამოეძახეთ, სააკაშვილიც ვერ გაგასწრებდა, ისე მოკურცხლავდი. ნუ გეცინება, არ გეხუმრები, ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანები გაუგონარ რეკორდებს ამყარებენ. შენი ამბავი რომ ვიცი, რეკორდამდე ხელი არ მიგიწვდებოდა, მაგრამ ხომ წამოხტებოდი და მიირბენდი!*

Იქ, იმ დღეს არაფერი არ წყდებოდა, კრების ერთგვარი რეპეტიცია ჰქონდათ შენს კოლეგა ოპოზიციონერებს დაგეგმილი. ამიტომ ეძლეოდა დამსწრეთა რაოდენობას დიდი მნიშვნელობა. თქვენ რომ დაგინახავდნენ, ბევრი შემოყოფდა თავს და დარბაზში სკამი არ დარჩებოდა ცარიელი. ზოგიერთის კრებაზე მონაწილეობას შეიძლება არც არაფერი შეეძინა საქმისთვის, მაგრამ ხალხს ხომ მოუყრიდა თავს! გარდა ამისა, სოლიდარობად, მეგობრულ მხარდაჭერადაც ჩაგვეთვლებოდა.

ისე, კაცმა რომ თქვას, გაერთიანება კი შეგძლებიათ, მოილაპარაკეთ კრებაზე არ მივიდეთო და არ მიხვედით. კარგად შეთანხმებულხართ ღმერთმანი.

ვენაცვალე ჩვენ ხალხს, ცარიელი სკამი კი არა, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ დარჩენილა და ბევრი იძულებული გამხდარა შინ წასულიყო. ეს ასე იყო, მაგრამ შენი მხრიდან ხომ დარჩა ერთი ცარიელი სკამი, მე ამას ვამბობ — გადატანითი მნიშვნელობით. ხომ იყო ასე? თუ შენს გარდა კიდევ 99 ოპოზიციონერიც გადებდა კუდს ყავარზე და ბუხარს მიუშვერდა თავის გაყინულ ცხვირ-პირს, გამოდის ასი სკამი დარჩებოდა ცარიელი და კრება ჩაიშლებოდა. მაშინ უნდა გენახათ პრეზიდენტი, ის ხომ სიხარულით ცას ეწეოდა, იმ ცას, რომელიც საქართველოში აგერ უკვე 7 წელია მსოფლიოს ყველაზე მაღლა მდებარეობს (მაინც წვდებოდა); უმალ მოუხმობდა თავის ასამდე თანამეინახისგან შემდგარ ამალას და მხარულით (ხომ გინახავთ ხმელეთზე მხარული) კბილებგადმოყრილი (რომელსაც თვითონ ღიმილს ეძახის) გასწევდა „ჩელენჯერისკენ“, პრეზიდენტის მიერ პრივატიზებული არწივი კი პირდაპირ მსოფლიოს ერთ-ერთი კუნძულოვანი აგარაკისკენ აიღებდა კურსს „სამუშაოდ“, „ინვესტიციების მოსაზიდად“.

დარბაზში დარჩენილთათვის ეს მაინც ტრავმა იქნებოდა, იმიტომ კი არა, რომ ამით ყველა გზა ჩაეკეტათ, არა, სულაც არა. იმის ატანა იქნებოდა ძნელი, რომ საკუთარმა მომხრეებმა და მოძმეებმა გამოსდეს სარმა. ამიტომ იდგებოდნენ გაოგნებული სახეებით, ჩამოყრილი ყურებით, გაყინული თვალებით და თანამოაზრეთა მტანჯავი დუმილით შეძრწუნლნი.

ამ სურათის მნახველს იმ ღამეს არ დაეძინებოდა. შენ კი დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი იქნებოდი. არ მედავო, კმაყოფილი იქნებოდი. ამაზე თვით რეალური სიტუაციის ანალიზი მეტყველებს.

ბევრს გაუჩნდებოდა სიბრალულის გრძნობა.

შენ თუ იცი მე ვინ შემებრალებოდა ამ სურათის შემყურეს?! შენ შემებრალებოდი.

ახლა ეს მითხარი, მომავალშიც მოსაწვევს დაელოდები თუ კვლავ დემონსტრაციულად არ აპირებს მისვლას?

...შენ, ინტელიგენტი კაცი, რომელსაც ხელისუფლების ოპოზიცია გქვია და უნდა იბრძოდე ამ მაჯლაჯუნისაგან სამშობლოს გასათავისუფლებლად, არ უერთდები მოძმეთ, მხარში არ უდგახარ კოლეგებს, თანამემამულეთ. კარგია?

მე გაფრთხილებ, მომავალი ბრძოლებისგან თავის არიდება არ გაბედო, არ გაბედო, თორემ მილწეული შედეგის მიუხედავად, კიდევ ერთხელ მოგეჭრება თავი, თანაც ხომ შეიძლება, ხალხმა თავისი გაიტანოს და საწადელს ეწიოს. ამ დროს წარმოიდგინე: მთელი თბილისი გარეთაა გამოსული, ქვეყანა ზეიმობს, დიდი და პატარა ხარობს, ხალხი აღტაცებულია, შენ კი სახლიდან ცხვირი ვერ გამოგიყვია. კი გაქვს გასამართლებელი „საბუთი“, რომ მეგობრებთან იყავი შეთანხმებული, სიტყვას ვერ გატეხავდი, მაგრამ ეს ხომ ის შემთხვევაა, როცა ამგვარი „საბუთის“ გამოჩენას ვერ ბედავენ.



ბოლოს ცოლ-შვილი ყურში გიჩურჩულებს — ჩვენ მაინც გავალთ გარეთ, მოზეიმე ხალხში გავერევით, რა თქმა უნდა, არავის ვეტყვით ვინა ვართო.

ამაზე არ გიფიქრია? აბა მარტო პარლამენტში შეძრომაზე ფიქრობდი, შე ოჯახაშენებულო?!

ასე მწვავე წერილს რომ გწერ, თქვენი მოძულე არ გეგონოთ, არც ის კაცი ვარ, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ეროვნულ მოძრაობაზე, და არ განუცდია ხალხის ინტერესებისათვის დათრგუნული მეგობრების ტკივილი. გული რომ მეწვის და ცეცხლი მიკიდია, იმიტომ გელაპარაკები ასე ალალად, თორემ სხვა რა უნდა მქონდეს თქვენთან გასაყოფი?! თქვენს ამოცანას შეადგენდა აგემოძრავებინათ ხალხის ტალღა და გეჩვენებინათ მსოფლიოსათვის, პირველ რიგში კი თავად მათთვის, თუ სადამდეა მისული ხალხში აღშფოთებისა და მძვინვარების დონე და ქვეყნის ასე ერთპიროვნულად, ავტორიტარული მეთოდით მართვის გაგრძელება შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს.

თქვენ ეს შესძელით: ათასობით აღშფოთებული ადამიანის პროტესტი პარლამენტის წინ, მერე, პირთამდე გაჭედილი აბობოქრებული სტადიონი და ბოლოს იპოდრომზე 300 ათასი თბილისელის ხელისუფლებისადმი სიძულვილის დაუფარავი გამოხატვა, სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისგან შემდგარი ხელისუფლების გადადგომაში დასარწმუნებლად. ამას არავინ უარყოფს, მაგრამ საკითხავია რატომ უშვებდით მომიტინგეებს თავიანთ სახლებში სწორედ მაშინ, როცა მათი ემოციის მუხტი პიკს აღწევდა. აქ აშკარად გამოუცდელობასა და დაბნეულობასთან გვაქვს საქმე, რაშიც დამნაშავის მოძებნა ცოტა არ იყოს, რთულია (ან რად გვინდა). ყველა, როგორც ერთი, იმას გაჰკიოდა, რომ ერთი წვეთი სისხლი არ უნდა დაიღვაროს, არავის ნაკაწრიც არ უნდა გაუჩნდესო. ესეც პირნათლად შეასრულეთ თქვენ, მაგრამ საბოლოო მიზანი ხომ ამით არ ამოწურულა?! ამ საეჭვო მოთხოვნის მოწინააღმდეგენიც იყვნენ, მაგრამ, რაც მთავარია, არავინ იცოდა ასე მოქცეულიყვნენ თუ ისე, ამ მოძრაობას, რომელსაც არ ვიცი რა უნდა რქმეოდა, ერთი კაცი, ერთადერთი კაცი აკლდა — ხელმძღვანელი, ლიდერი.

ასე გასინჯეთ, ხელისუფლება მთელი თვე დედაქალაქიდან გაძევებული გყავდათ და ამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებაზე კრინტიც არავის დაუძრავს. ესეც იმიტომ, რომ ის ერთი კაცი არ გყავდათ. ის ფაქტი, რომ ამ მომენტიდან რა უნდა გექნათ, ამის გეგმაც არ არსებობდა (განბილებულმა ხალხმა არ იცოდა სად წასულიყო), აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ საქმე თავიდანვე მოთავებულად ითვლებოდა იმით, რაც გააკეთეთ. ე.ი. მოძრაობის სათავეში მდგარი ოცამდე ხელმძღვანელი გაოგნებული იყო, რას უცდის ხელისუფლება, რატომ არ გარბისო. არ გაქცეულა, არც დაძრული ადგილიდან — რას მერჩით, ომი ხომ მოვიგეო, უსირცხვილოდ აცხადებდა, სასახლე ავიშენეო, ხიდები გავდეო, კუტინიო ჩამოვიყვანეთო, ინგლისურის ათასობით მასწავლებელი დაგინიშნეთო... ასეთი ლოგიკით მოაზროვნე კაცი პრეზიდენტად რამ აგარჩევინათო, გვეტყვიან, აბა რა იქნება.

ცოტა კი მერიდება საქმეში რომ გეჩრებით, მაგრამ მე ჩემი რომ არ გითხრათ, ვერ მოვისვენებ. ახლა კომბლებს მინდა შევეხო. არა, ისე კაი სანახავი კი იქნება ხელისუფლების კომბლებით ნახირივით გარეკვა, მაგრამ ვითომ კაბინეტის გასაღებებს მაგიდაზე დაგილაგებენ და თვითონ დაიდებენ ხელებზე ბორკილებს? არაფერი გეტკინოთ, ერთი, ორი აფეთქების ხმა და წითელი ხიდი რას მიქვიან, ცხრა მთას სარეკორდო დროში გადაახტებიან ეს ენატლიკინა თინეიჯერები და ეძებე მერე სად იმალებიან. რაც შეეხება კომბალს, მე მგონი, მას რა ფუნქციასაც დააკისრებ, იმას შეასრულებს და სულაც ნუ გეგონებათ იგი უწყინარი. მით უმეტეს მოწინააღმდეგისთვის, რომლისთვისაც სულერთია რით მოვა სიკვდილი, შაშხანით თუ კომბლით, ასე რომ, არავის ეგონოს კომბალს ცოცხს დაუპირისპირებენ. რაც შეეხება დათა თუთაშხიას სიტყვებს — თქვენ ის კაცები არა ხართ მე რომ მესვრითო, ჩვენ არ გამოგვადგება, რადგან არც დათა თუთაშხია გვყავს აქეთ და არც ბოდლო ყვალთავა — იქით, ხოლო ზოგიერთი დღევანდელი კიკუ აქეთ შემოგთავაზებს ოქროს თუმნიანებს, ოღონდ გააშიშვლე და სცენაზე აცუნდრუკე.

ყურს ჭრის თქვენი მუქარა და ქადილი — მიშა მოვდივარ, მიშა წადი, შენი ადგილი საპრალდებო სკამზეა და სხვა. ფეხბურთელები რომ ფეხბურთელები არიან, მეკარეებს წინასწარ კი არ უკაკლავენ რომელ კუთხეში აპირებენ დარტყმას. არც გოლის გატანის შემდეგ არ ხტუნაობენ, ზოგიერთებივით (წინათ ასე იყო ნამდვილად) და კისრისტეხით კი არ დარბიან, მაგალითად, მიხეილ მესხი ბურთის გატანის შემდეგ ისე მშვიდად მოაბიჯებდა ხოლმე, თითქოს ბაიბურშიც არ იყო, რა მოხდა მოედანზე.

როგორც ჩანს, წარამარა რომ გვაბარებინებენ ეროვნულ (?!) გამოცდებს უნარ-ჩვევებში, იქიდან მოგვდგამს ეს, თორემ ჩვენს მამა-პაპათ მაშინაც არ ამოუღიათ ხმა, როცა ექვსი ათეული ათასი მეომრით 300-ათასიან არმიას უთხრიდა დიდგორში სამარეს;

ჩვენ არ ვართ შურისძიების ხალხი და მაინცდამაინც ახლადმოსული ხელისუფლება გამოიჩენს ისეთსავე დაუნდობლობას და აგრესიას, როგორიც ე. წ. მიშისტებს სჩვევიათ? არამც და არამც, ეჭვი არ მეპარება სწორედ მაშინ დაიწყება პატიებისა და ტოლერანტობის იდეის გაფურჩქვნა. რა გამოდის, იმისთვის მოვედით, რომ ერთმანეთი ვხოცოთ, იტყვიან, გამოჩხრეკენ ფილოსოფიურ კრედოებს და ჩვენც მხარში ამოგვიყენებენ. აი, ნახავთ, სიცოცხლე ხანმოკლეა ჩემო კეთილო, ათასი სენი და სტიქიური უბედურება გვიტევს და კიდევ იარაღით ხელში სირბილი, სხვა რომ არაფერი, სირცხვილია.

რატომ მოგვევლინა სატანა ჩვენივე გვარით და ჯილაგითო, მოთქვამენ. კი მაგრამ იქნებ ისიც გვეკითხა, რატომ გვემართება ათასგვარი უკურნებელი ავადმყოფობა? საიდან მოდის ეს მეტასტაზი? არ გვინდა ამის ძიება, ხალხო, ეს მედიცინას მივანდოთ. ჩავთვალოთ, რომ ერთი ასეთი სენი სააკაშვილის სახით შემოგვეპარა, დავარქვათ თავისი სახელი და დავამთავროთ ამით.

არ მითხრათ ახლა ყველაფერი დროს მოაქვსო. დროს ჩვენ ვქმნით, ჩემო კარგო. ჩვენი დიდი რევოლუციონერები სხვაგან იხარჯებოდნენ, მაგრამ ხომ შექმნეს დრო, მაგალითად — იოსებ სტალინმა ნახევარი მსოფლიო თავის დროში მოაქცია!

ერთი პატიოსანი და მშრომელი ოთხფეხას თვისებები რომ არ გადაგვლობებოდა და ასი ათასობით ზიზღი ოდნავ მაინც მიკარებოდა ხელისუფლების წევრთა გახევებულ გრძნობებს, თქვენს ბრძოლას შედეგი ნამდვილად უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს კაცი შენსას არაფერს გაიგებს — სალაპარაკოდაც არ დაგიჯდება, ხან აზიაშია იოგებთან, ხან არაბეთში შეიხებთან, ხან ევროკავშირს ეპარება, ხან ობამას უმტვრევს კარს... რა გინდა, ყველა ხედავს რა ხვითოც გაგვიზრდია, მაგრამ ხმას არავინ იღებს. ყველამ თავის წესიერ მამიდას მოუაროსო, ამბობენ.

იყო დრო მოყვასის ტკივილი გვტკიოდა, მეზობლის სადარდებელი გვედარდებოდა. ახლა ასე არ არის. სხვის მიმართ გულის ასეთმა გაცივებამ მასშტაბები შეიძინა და სახელმწიფოებსაც მოედო.

ერთი სიტყვით, ყველამ თვითონ უნდა მივხედოთ თავს და იმ მიწას, რომელზედაც ფეხი გვიდგას, რაც გვარჩენს. ასე იტყოდნენ ხოლმე ჩვენი ძველები — სხვის იმედად ჩვენი მტერი ყოფილაო.

**ზურაბ შაუთიძე**

## ⊙ ინფორმაცია

# მანდატურები ბავშვთა სახლს ესტუმრნენ



სკოლის მანდატურთა საქველმოქმედო აქციის ფარგლები მანდატურებმა კომპანიის „ტკბილი ქვეყანა“ წარმომადგენლებთან ერთად, ბავშვთა სახლ „ბავშვთა სოფელში“ მოზარდები მოინახულეს და წინასაახალწლოდ საჩუქრები გადასცეს.

„ბავშვთა სოფელში“ 4-დან 15 წლამდე 80 აღსაზრდელი ცხოვრობს. თითოეულ ბავშვს ტკბილეულობა, სათამაშოები და სხვა სახის საჩუქრები გადაეცათ.

სკოლის მანდატურთა განცხადებით, მათი პირდაპირი მოვალეობაა მოზარდთა უსაფრთხოების დაცვა, მათთვის დახმარების გაწევა, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი, სწორედ იმ ბავშვებზე ზრუნვაა, რომელთაც განსაკუთრებით სჭირდებათ ყურადღება.

საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას მანდატურები მომავალშიც გააგრძელებენ.

**ХО-ЭОБ-ЭБО**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ და რუსეთმა ურთიერთობა უნდა აღადგინონ

**მოსკოვში, პოკლონნაია გორას მემორიალურ კომპლექსში გაიხსნა ძეგლი „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“, რომელიც იმ დიდების მემორიალის ანალოგია, რომლის დემონტირებაც მოხდა ერთი წლის წინათ ქუთაისში. ამ ცერემონიაზე სპეციალურად მოსკოვში ჩაფრინდნენ საქართველოს ექსპრემიერი, ქართული ოპოზიციური მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟერად ოპოზიციური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე.**

ქართული ოპოზიციის ლიდერები მოსკოვში ყოფნის დროს შეხვდნენ აგრეთვე რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს, სახელმწიფო დუმის დეპუტატებს, ეროვნული დიასპორის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ. ჩვენმა მოსკოველმა კორესპონდენტმა ვადიმ მასალსკიმ მოახერხა შეხვედროდა პარტიის „სამართლიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარეს ზურაბ ნოღაიდელს და სთხოვა მას გაეზიარებინა თავისი წარმოდგენა საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობებზე.

*– თბილისში პოლიტიკოსების ერთმა ნაწილმა კრიტიკულად შეაფასა თქვენი ამჟამინდელი ვიზიტი მოსკოვში. კერძოდ, საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ მას ტიპური კოლაბორაციონისტული ქცევის ნიმუში უწოდა, რაც ნიშნავს „ოკუპაციის გამართლებასა და თავისი ხალხის სრულ უპატივცემლობას“. თქვენი ჩამოსვლა მოსკოვში მკვეთრად უარყოფითად შეაფასა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში ეკატერინე ტყეშელაშვილმა და ზოგიერთმა სხვა პოლიტიკოსმაც. რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?*

– მას შემდეგ, რაც დავიწყე მოსკოვში ჩამოსვლა დაახლოებით ერთი წლის წინათ და შედგა ჩემი პირველი შეხვედრის პრემიერ პუტინთან, რაში აღარ მდებენ ბრალს, ლამის ხალხის გამყიდველი და მტერიც მიწოდონ... მაგრამ ამჟამად საქართველოში საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით თანდათან იწყებს ცვლილებას ოპოზიციის, ჩვენი ინიციატივის წყალობით.

საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, რომელიც მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა, თუ შარშან სექტემბერში საქართველოს მცხოვრებთა მხოლოდ 10 პროცენტი უჭერდა მხარს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, წლევანდელი წლის ნოემბერში – უკვე 84 პროცენტია მათი რიცხვი.

აი, ლისაბონში ნატოს სამიტზე და ასტანაში ეუთოს სამიტზე ყველამ დავინახეთ, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს საზოგადოებრივი აზრის, საერთაშორისო ზემოქმედების შედეგად პრაქტიკულად დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რასაც მე წლის განმავლობაში გავიძახოდი – უნდა დავამყაროთ ურთიერთობა მოსკოვთან, მიუხედავად 2008 წლის აგვისტოსი. სავსებით ცხადია, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუწესრიგებლად შეუძლებელია იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგანან.



*– კერძოდ, რა პრობლემებისა?*

– ნებისმიერის. და, უწინარეს ყოვლისა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს უშიშროებასა და გაერთიანებასთან. ვფიქრობ, რომ ეს უკვე ცხადია არა მხოლოდ ყველასთვის მსოფლიოში, არამედ ნაწილობრივ სააკაშვილისთვისაც.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავად სააკაშვილმა შეიქმნა პრობლემები, რაც დღეს საქართველოს აწუხებს. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ სახელმწიფოს ამჟამინდელი ხელმძღვანელი არის პასუხისმგებელი ქართველი ხალხის წინაშე თავისი პოლიტიკის გამო, იმის გამო, რომ მან დაკარგა საქართველოს ტერიტორია, ის დამნაშავეა იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი დღეს ოკუპირებულია და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარები დგანან.

*– და მიუხედავად ამისა, როგორც ამ გაზაფხულზე მუნიციპალურმა არჩევნება აჩვენეს, საქართველოს პრეზიდენტს კვლავ მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორ ახსნით ამას?*

– მხოლოდ შიშით. მეტით არაფრით. გაზაფხულის არჩევნები – ეს სრული დამახინჯებაა. არ მინდა ვთქვა, რომ სააკაშვილის რეიტინგი ნულია, მაგრამ მას ამჟამად გაყალბების გარეშე არჩევნების მოგება უკვე აღარ შეუძლია. იყო დრო, როდესაც მას მართლაც შეეძლო არჩევნების მოგება – ეს იყო 2004-2007 წლებში. მაგრამ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ჩვენ ვხედავთ მუდმივ სიყალბეს. დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმი – ეს მუყაოს ქოხია, ის შეიძლება უმალვე ჩამოიქცეს. თქვენ ძალიან მალე დაინახავთ, რომ ეს რეჟიმი დაინგრევა და საქართველოში აღდგება დემოკრატია.

*– ფინანსთა სამინისტრო დღეს ოფიციალურად აღიარებს, რომ ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალისა და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო მოცულობა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა დაახლოებით 3,5 მილიარდი დოლარი. მაგრამ, დაგვეთანხმეთ, ეს მნიშვნელოვანწილად შეიძლება ავხსნათ გლობალური კრიზისის შედეგად, რისგანაც დაზარალდა ბევრი განვითარებადი ეკონომიკა?*

– არ შემიძლია ამას მთლიანად დავეთანხმო, თუნდაც იმის გამო, რომ კრიზისის შედეგები იქნებოდა უფრო ნაკლებად მტკივნეული, რომ არ ყოფილიყო 2008 წლის ომი. სწორედ იგი გახდა საინვესტიციო კლიმატის მკვეთრი გაუარესების მიზეზი.

როდესაც მე პოსტი დავტოვე, საქართველოს ვალი სამი წლის განმავლობაში 45-დან 15 პროცენტამდე შემცირდა, და სხვათა შორის, ჩვენ მაშინ გადავიხადეთ ჩვენი ვალი რუსეთის წინაშე. ამჟამად სიტუაცია დახშულ წრეში ჩაერთო – ქვეყანამ დააგროვა დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ვალი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ჩვენ კვლავ დავუბრუნდით საგარეო სავალუტო პროდუქტის 45-პროცენტიან ვალს.

ეს ყოველივე არც ისე საშინელება იქნებოდა, ჩვენ რომ ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპები გვქონდეს. და ვალის მომსახურება რომ არ ყოფილიყო ასეთი ძვირი სიამოვნება საქართველოსთვის. ოპტიმისტური პროგნოზებითაც კი საქართველოს დღევანდელი მთავრობისა, 2013 წელს საბიუჯეტო შემოსავლის დაახლოებით 22-23 პროცენტი საგარეო ვალის დაფარვას მოხმარდება. ეს უზარმაზარი ციფრია!..

*– წელს საქართველოს მხარემ გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთის ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკის მცხოვრებლებისთვის. ოფიციალურმა თბილისმა მას კეთილი ნების ჟესტი უწოდა, რომელიც მიზნად ისახავს ჰუმანიტარული კავშირურთიერთობების აღდგენას ორი ქვეყნის მცხოვრებლებს შორის. თავის მხრივ, მოსკოვი აცხადებს, რომ ასეთი შერჩევითი უვიზო რეჟიმი შეიძლება გახდეს სატრანზიტო კორიდორი ბოევიკებისთვის დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, შეიძლება გააქტიურდეს ტერორიზმის ექსპორტი რუსეთის ამ მშფოთვარე რეგიონში. თქვენი აზრით, სადამდე მიგვიყვანს ეს კერძო უვიზო რეჟიმი?*

– ჩემი აზრით, ასეთი ზომები არაფრამდე არ მიგვიყვანს. ვფიქრობ, რომ ბოევიკებს მთებში საერთოდ არ სჭირდებათ ვიზები, არც სასაზღვრო გადასასვლელები. მეორე მხრივ, ჩრდილოეთი კავკასიის მხოლოდ ცალკეული მცხოვრებლები გადაწყვეტენ ისარგებლონ ამ ახალი უვიზო რეჟიმით. ეს ყოველივე პრეზიდენტ სააკაშვილის მორიგი პროპაგანდისტული აქციაა. მიზანი – აჩვენოს, თითქოს ის რაღაცას აკეთებს, რათა ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია ერთად იყვნენ.

სავსებით ცხადია, რომ სავიზო რეჟიმი იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება გარღვევა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში, ეს კი არ მოხდება, სანამ თბილისში ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილი იქნება. ხელისუფლებაში თბილისში უნდა მოვიდნენ სხვები – ჭკვიანი და მამაცი ადამიანები.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს ქვეყანას აქვს მხოლოდ ერთი გზა – განვითარების დემოკრატიული გზა. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ, რომ საკმაოდ წარმატებით მუშაობს რომელიღაც სხვა მოდელი. მე არავისთვის სწავლება არ მინდა. მაგრამ კარგად ვიცი განწყობილება ქართულ საზოგადოებაში, მე ვიცი ჩემი ხალხის მენტალიტეტი, მე ვიცი ჩვენი ისტორიული სპეციფიკა და ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობანი. მხოლოდ ღია საზოგადოება, მხოლოდ თავისუფალი ბაზარი უზრუნველყოფს ერთიანი და თავისუფალი საქართველოს მომავალს.

VOA NEWS Голос Америки

# ქართველი ოპოზიციონერები ერთმანეთს სააკაშვილთან საიდუმლო შეთანხმებაშიც ადანაშაულებენ

**საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ბრალი დასდო რამდენიმე ცნობილ ოპოზიციონერს ხელისუფლებასთან კავშირსა და ორმაგ თამაშში, რის გამოც 2008-2009 წლების საპროტესტო აქციებმა შედეგი არ გამოიღეს. თავისი განცხადება მან გააკეთა კვირას საღამოს საზოგადოებრივ ტელევიზიაში პროგრამა „აქცენტის“ დამთავრების შემდეგ.**

ახლა უკვე ქვეყანა ელოდება მიხეილ სააკაშვილთან ოპოზიციონერების საიდუმლო შეხვედრების ვიდეოჩანაწერების დემონსტრაციას – ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ჩანაწერები აქვთ პრეზიდენტსაც და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ ვანო მერაბიშვილსაც.

ნინო ბურჯანაძის „შავ სიაში“ არიან პრეზიდენტობის ექსკანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, პოლიტემიგრანტი ირაკლი ოქრუაშვილი, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩი ეროსი კიწმარიშვილი. ამ პოლიტიკოსებმა ამას წინათ შექმნეს ოპოზიციური „ქართული პარტია“ და გამოაცხადეს იგი „სააკაშვილის რეჟიმის ერთადერთ რეალურ მოწინააღმდეგედ“. დღემდე ქართული პარტიის საქმიანობა მხოლოდ თვითპიარი იყო, რითაც ადასტურებდა, რომ მზად არის წამოიწყოს პროტესტის ახალი ტალღა.

ის, რომ ჭრელ ოპოზიციურ ბანაკში ყველაფერი წესრიგში არ იყო – დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი. საერთო მიზანიც კი – მიეღწიათ სააკაშვილის გადადგომისთვის, ვერ გახდა მის მოწინააღმდეგეთა შეკავშირების საბაბი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოპოზიციონერების უმრავლესობა ერთმანეთს უფრო ნაკლებად ენდობოდნენ, ვიდრე სააკაშვილს. შეიძლება იმიტომ, რომ იცოდნენ, თუ რა შეუძლია პრეზიდენტს. შემთხვევითი არ იყო, რომ ყოვლისშემძლე ოპოზიციური ალიანსები უკანასკნელ წლებში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ და იშლებოდნენ, იყვნენ მეტად მყისიერები.

იმის შესახებ, რომ 2008-2009 წლების მრავალთასიანი მანიფესტაციების დღეებში პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა სააკაშვილისა და ოპოზიციის ლიდერების რამდენიმე შეხვედრა, გაამჟღავნა თბილისის გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“. პუბლიკაცია დაემთხვა „ვიკილიკსის“ გულღია აღმოჩენებს და იყო გაურკვეველი, რამაც შექმნა შთაბეჭდილება: გაზეთში მოხვდა „დაუმუშავებელი“ ინფორმაცია სკანდალური საიტიდან. პუბლიკაციაში, რომელიღაც წყაროზე მითითებით, საუბარი იყო იმის შესახებ, რომ გაჩეჩილაძემ საიდუმლო შეხვედრაზე მოსთხოვა სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის სავარძელი ნახევარი წლით, 5 მილიონი დოლარი უმალვე და კიდევ 10-12 მილიონი დოლარი მოგვიანებით ბანკის შესაქმნელად, სამაგიეროდ დაჰპირდა, რომ „კონტროლზე ეყოლებოდა პროტესტი“. თანაც თავისი პირობებით, რამაც გააოგნა რამდენიმე სხვა ოპოზიციონერი, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ მოლაპარაკებაში, გაჩეჩილაძემ პრეზიდენტს თავისი პირობები ქაღალდზე დაწერილიც მიაწოდა. რამდენიმე დაბეჯითებული მოთხოვნის შემდეგ გაზეთმა გამოაქვეყნა თავისი „ვიკილიკსის“ სახელი. იგი აღმოჩნდა ბურჯანაძის მეუღლე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ბადრი ბიწაძე, რომელიც, თითქოსდა, იმყოფებოდა გვერდით ოთახში, სადაც მიმდინარეობდა შეხვედრა...

და აი, კვირას ნინო ბურჯანაძემ გამოაცხადა არა მხოლოდ ციფრებიანი ფურცლის არსებობის შესახებ, არამედ მოლაპარაკების ვიდეოჩანაწერის შესახებაც. ექსსპიკერმა განაცხადა, რომ ამის შესახებ ადრე არ ლაპარაკობდა იმის იმედით, რომ ოპოზიცია, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაერთიანდებოდა. მაგრამ ახლა განმარტა, რომ „ქართული პარტია“ მხოლოდ წყალს ასხამს ხელისუფლების წისქვილზე, ხელს უშლის რეალურ ოპოზიციას, ცდილობს პირადად მის დისკრედიტაციას, შეაქვს განხეთქილება ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებაში. „ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი იმაში, რომ ისინი კვლავ მიდიან ხელისუფლებასთან გარიგებაზე და ჩვენ იძულებული გავხდით გველაპარაკა იმის შესახებ, რაც ვიცოდით“, – განაცხადა ბურჯანაძემ. მისი სიტყვებით, ოპოზიციის გაერთიანებაში უნდა მონაწილეობდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხს შუა გზაში არ მიატოვებენ: „სააკაშვილმა შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება ოპოზიციასთან გარიგების წყალობით და ამჟამად ინარჩუნებს მას, მათ შორის აქვს გარკვეული საყრდენი“.

თავად გაჩეჩილაძემ წამოყენებული ბრალდებები უარყო, თავის მოქმედებებს საპროტესტო აქციის დღეებში განმარტავს იმით, რომ „არ სურდა დაღვრილიყო თუნდაც, ერთი წვეთი სისხლი“ და მოითხოვა – პირდაპირ ტელეეთერში მოეწყოს დებატები სააკაშვილთან და ბურჯანაძესთან. მისმა პოლიტიკურმა პარტნიორმა კიწმარიშვილმა ბიწაძე-ბურჯანაძის ბრალდებას სააკაშვილის დაკვეთა უწოდა, რომელიც მიზნად ისახავს „საზოგადოებრიობის დეზორიენტაციას და ოპოზიციისადმი უნდობლობის წარმოქმნას“.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ახალი საჯაშუშო სკანდალი: რუსეთმა და ესპანეთმა ერთმანეთში გაცვალეს დიპლომატები**

მოსკოვმა 24 დეკემბერს გაგზავნა ორი ესპანელი დიპლომატი ანალოგიური ზომების საპასუხოდ, რომლებიც მიიღეს მანამდე ერთი კვირით ადრე მადრიდში. რუსეთელებს ბრალს სდებდნენ „მათს სტატუსთან შეუთავსებლობაში“, რაც ჩვეულებრივად ჯაშუშობას ნიშნავს. მათ სახელებს არ ასახელებენ. ოფიციალური პირები სკანდალს კომენტარს არ უკეთებენ.

* * *

**პაკისტანელმა თალიბებმა პუშტუნთა თემის 23 უხუცესი მოიტაცეს, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ**



ისინი მოიტაცეს ექსტრემისტებმა მოძრაობიდან „ტეხრიკი და თალიბანი პაკისტანი“, რომელიც დაბანაკებულია სამხრეთ ვაზირისტანში. უხუცესები ხვდებოდნენ სახმელეთო ჯარების მთავარსარდალს, რომელიც აქ ინსპექციით ჩამოვიდოდა ხოლმე, რამაც თალიბების რისხვა გამოიწვია. უხუცესთა შემდგომი ბედი ჯერჯერობით უცნობია.

* * *

**ისრაელის პრემიერმა პალესტინელებთან დროებითი სამშვიდობო შეთანხმების შესაძლებლობის შესახებ განაცხადა**



ნეთანიაჰუ მზად არის დადოს ზავი, თუ პალესტინელები აღიარებენ ისრაელს ებრაელთა სახელმწიფოდ და დაეთანხმებიან დემილიტარიზებული სახელმწიფოს შექმნას, უარს იტყვიან ლტოლვილთა დაბრუნების უფლებაზე. მისი სიტყვებით, ისრაელის მოქალაქეთა უმრავლესობა მხარს უჭერს სამშვიდობო შეთანხმებას, რომლებიც ასეთი პირობებით დაიდი.

* * *

**ნაბრძანებია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის შვილსა და მემკვიდრეს აღარ უწოდონ „ახალგაზრდა გენერალი“**

ნაბრძანებია ამიერიდან ბელადის შვილს ეწოდოს „პატივცემული ამხანაგი კიმ ჩენ უნი“ ან „ცენტრალური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის პატივცემული მოადგილე“, რომელსაც სათავეში მისი მამა უდგას. როგორც ვარაუდობენ, ამან უნდა განამტკიცოს 27 წლის მემკვიდრის ავტორიტეტი და დიდად არ მიუთითოს მის ახალგაზრდობაზე.



## განცხადება

# თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის რიჩარდ ჰოლბრუკის სახელის დარქმევის თაობაზე

მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“ ეხმიანება თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებას თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის რიჩარდ ჰოლბრუკის სახელის დარქმევასთან დაკავშირებით. გვსურს შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენი მოძრაობა მხარს უჭერს საქართველოს მიერ სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პარტნიორობა უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული. ისეთი ტიპის გადაწყვეტილებები, როგორიც არის ამერიკელი მოღვაწეების სახელების დარქმევა თბილისის ქუჩებისთვის, წარმოადგენს არა სტრატეგიული პარტნიორობის ნაწილს, არამედ ჩვენს ცნობიერებაში შემორჩენილი კოლონიალიზმის რეციდივს.

ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორებს შორის, ალბათ არ მოიძებნება ბევრი სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს როგორც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ბუშის, ასევე ახლახან გარდაცვლილი ჰოლბრუკის სახელობის ქუჩები. ვთვლით, რომ ეს წარმოადგენს არა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ნაწილს, არამედ იმ ტრადიციის გაგრძელებას, რომლის მიხედვითაც, თბილისში მრავლად იყო სხვადასხვა რუსი რევოლუციონერებისა თუ ცეკას მდივნების სახელობის ქუჩები.

იმავდროულად, გვსურს შევნიშნოთ, რომ მსოფლიოს ბევრ ქალაქში არსებობს ტრადიცია, რომ გარდაცვლილი ადამიანების სახელებს არქმევენ სხვადასხვა ობიექტებს ან ქუჩებს მხოლოდ გარკვეული წლების გასვლის შემდგომ, მაშინ, როცა სათანადოდ შეფასდება ამა თუ იმ ადამიანის ისტორიული ღვაწლი.

**მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“**

## პროფესიის პრესტიჟი

*მქონდა პატივი დავსწრებოდი ცნობილი ჟურნალისტის თეიმურაზ ქორიძის ახლახან გამოსული წიგნის „საუბრები ჟურნალისტიკაზე“ პრეზენტაციას, რომელიც წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა 19 დეკემბერს. ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბატონი თეიმურაზის ჟურნალისტური საქმიანობის სამართლიან, დამსახურებულ ქებაში. რა თქმა უნდა, იყო წიგნის მისამართით გამოთქმული გარკვეული მეგობრული შენიშვნებიც. სხვაგვარად, შეხვედრა აზრს დაკარგავდა, რადგან მხოლოდ ქება-დიდებით წინ ვერ წავალთ.*

# რომელი მეტოქა უფრო რწმენის ჟურნალისტებს?

წიგნის პრეზენტაციაზე ჩემი მოსაზრება არ გამომითქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წაკითხული არ მქონდა. ახლა კი, თავს უფლებას ვაძლევ მოგახსენოთ რამდენიმე მოსაზრება, რომელიც დარწმუნებული ვარ, მომავალში სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ძველგაზრდებს და ახალგაზრდებს.

ის, რომ ბატონი თეიმურაზი თავისი საქმის ოსტატია, აქვს აქტუალურ მოვლენათა ობიექტური შეფასების უნარი, არის ქართული ენის ნორმების ხმალამოღებული დამცველი და ა. შ და ა. შ., ამაზე ამჟამად მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებ. გადავალ პირდაპირ საქმეზე და „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან, გაახლებთ ჩემს რამდენიმე მოსაზრებას.

ბოლო დროს, მოდაში შემოვიდა სიტყვა „პირველის“ წამდაუწუმ უადგილო და უაზრო გამოყენება ყველა ასპექტში — (ჩვენ „პირველები“ გეტყვით, „პირველად“ საქართველოს ისტორიაში და ა. შ.), ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს საქართველო, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. ისინი, ვინც ამ გამოთქმებით ხშირად მანიპულირებენ, ცდილობენ ხაზი გადაუსვან წარსულს, თუნდაც უახლოესს, რომელიც ბევრ ჩვენგანს, გვინდა თუ არ გვინდა, კარგად ახსოვს.

ეს ზოგადად.

ასეთი შესავლის შემდეგ, ნიმუშად, უკომენტაროდ გთავაზობთ მხოლოდ რამდენიმე, ფრიად საკამათო ამონარიდს ბატონ თეიმურაზ ქორიძის ხსენებული წიგნიდან.

**— კომუნისტური რეჟიმის პირობებში, „ჟურნალისტის პოპულარობა დამოკიდებული იყო არა პიროვნების ნიჭზე, უნარზე, ცოდნაზე ან თუნდაც, სიმამაცეზე, არამედ... ყოვლისმცოდნე პარტიაზე — პოპულარული იყო ის, ვისაც პარტია დაავალებდა ყოფილიყო პოპულარული“** (გვ. 11).

**— „საქართველოში არც მაშინ და არც დიდი ხნის შემდეგ არ არსებობდა... სრულფასოვანი ჟურნალისტური სკოლა, სადაც მსმენელებს დამოუკიდებელ აზროვნებას, ნააზრევის ქაღალდზე სხარტად და გასაგებად გადატანის კულტურას ასწავლიდნენ** (გვ. 17).

**— „მმართველობის საბჭოთა პარტიულმა სისტემამ გარყვნა ჟურნალისტებიც, მწერლობაც, ზნეობაც და ასე შევეგებეთ თავისუფალ საქართველოს** (გვ. 24).

**— „თითქოს უცნაურია, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოში არ არსებობდა არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი გაზეთი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით არ სცოდავდა. სცოდავდა კი არა, ქართული სალიტერატურო ენისადმი პრესის დამოკიდებულება, უბრალოდ, მკრეხელურიც კი იყო. გულახდილად რომ ვთქვა, პრესაში გამოქვეყნებული ამგვარი ტექსტებისთვის სახელის დარქმევა ძალიან მიჭირს. ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე, ზოგადად, უვიცობა, უპასუხისმგებლობა, ან საქმისადმი უსინდისო დამოკიდებულება“** (გვ. 70).

თავს უფლებას ვაძლევ გაგაცნოთ კიდევ ერთი ამონარიდი ბატონი თეიმურაზის ისტორიული ინტერვიუდან, ყველა ნორმალური ადამიანისათვის პატივსაცემ პიროვნებასთან, ქალბატონ ნინო გეგეჭკორთან (ლ. ბერიას მეუღლე), რომელიც გვირჩევს, რომ **„შეიძლება, რა თქმა უნდა, არ გიყვარდეს კაცი (საუბარია ი. სტალინზე, ა. ბ.) მაგრამ მასზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება, თუნდაც ყველაფერი ის, რასაც ამბობენ, მართალი იყოს, ქართველს მაინც არ შეეფერება სტალინის ასე ლანძღვა — ასეა თუ ისე, იგი მაინც ქართველი იყო. თუ გასალანძღია, გალანძღოს სხვამ, ჩვენ ნუ გამოვიჩენთ ინიციატივას...“** (გვ. 104).

**ვფიქრობ საგულისხმო და გასათვალისწინებელი არგუმენტია, ბატონო თეიმურაზ, რადგანაც ქართულ ჟურნალისტიკაზე ასეთი ტონით წერა არ შეიძლება!**

**ანზორ ბაბუხადია,**

**საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.**

## წკეპლიკა

# სულში ჭირიმე, გულში ჭირიმე... რეფორმებშიც ჭირიმე...

**ერთი ცნობილი უმაღლესი სასწავლებლის ერთმა ცნობილმა პროფესორმა მიამბო, მარა რა მიამბო! სულ ყურებდაცქვეტილი და ალტაცებული ვუსმენდი, სხვათა შორის, ყურებსაც ვუჯერებდი — ამათგან (ჩვენს ხელისუფალთაგან) ხომ მიჩვეული ვარ ალსატაცებელ ამბებს!**

რაი და თურმე ყოველი აკადემიური საათის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ გარკვეულ ადგილას და გარკვეულ ფართობზე ცერის ანაბეჭდი უნდა დასტოვო (ჯერჯერობით ხელის ცერზეა საუბარი, თანაც ორივე ხელისა. ფეხის ცერამდე არ მისულან...) — იმის ნიშნად, რომ ლექციაზე დასტურ შეხვედი და გამოხვედი.

ეს უთუოდ ერთ-ერთია განათლების სისტემაში მიმდინარე ღრმა რეფორმათა შორის, მარჯვედ გადმოღებული სისხლის სამართლის დამნაშავეებთან სამუშაო პრაქტიკიდან ან სულაც გესტაპოს მდიდარი გამოცდილებიდან! თურმე ზოგიერთი ყალთაბანდი ლექტორ-პედაგოგი აცდენს ლექციებს და ეგ „თითს აჩქამებს ბერასა“ (ვაჟა!) იმათ წინააღმდეგაა მიმართული.

თქვე კაი მიშაშვილებო და დიმაშვილებო (ღრმა რეფორმატორებს მივმართავ), ასეთი ვაი-პედაგოგები თუ ვაი-ლექტორები ვინც არიან, ხომ კარგად იცით, ასეთები რომ ლექტორ-პედაგოგობის ღირსნი არ არიან, ხომ მშვენივრად გესმით და გაუშვით, მოიცილეთ უმაღლესი სასწავლებლიდან, წესიერთ რას ერჩით, ცერებით რომ გარკვეულ ადგილას, გარკვეულ ფართობზე მიგილურსმიათ (აქვე სათქმელად, დღეში თუ 6 აკადემიური საათი, ანუ 3 ლექცია გაქვს, 12-ჯერ მოგიწევს „ლურსმნის“ ჩაჭედება!).

... — ცერის ანაბეჭდის ყოველ დატოვებაზე გუნებაში მაგრად მეცინებაო, დასძინა ნაცნობმა პროფესორმა. რაზე-მეთქი? იმაზე, რომ ჩვენი პრეზიდენტი მახსენდება. იმასაც რომ უბედავდნენ და ყოველ აფრენა-გაფრენის წინ და მოფრენა-დაფრენის მერე ანაბეჭდებს ატოვებინებდნენ გარკვეულ ადგილას, ხო აზრზე ხარ, რამხელა ფართობი დასჭირდებაო...

...თუ ჩემი ვარაუდი სწორია და ეგ ანაბეჭდობანა ცნობილ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული ღრმა რეფორმაა, დროა შემოვძახოთ აგრეთვე ცნობილი სიმღერა „სულში ჭირიმე, გულში ჭირიმე“... რეფორმებშიც ჭირიმე!..

**ლუკა გორგაძე**

## რას არ გაიგონებ!

# ყველაფერი „ლიტნაწილის“ ბრალია...

**ამას წინათ პოლიციის სამმართველოსთან არსებულმა (ალბათ ლიტნაწილმა) ახალი კანონი გამოსცა დამუშავებული, შესწორებული და „კარგი“ ქართულით ახსნილ-განმარტებული.**

მოკლედ, თუ პოლიციელს „გონივრული ეჭვი“ გაუჩნდა ვინმეს მიმართ, იქვე შეიძლება გააჩეროს, გაჩხრიკოს, გახადოს და ბოლოს — არც ვიცი — ან პოლიციაში წაიყვანოს, ან მისი ნებაა, როგორც მოიქცევაო (რა ხასიათზე იქნება). ამ კანონში მოქალაქის შემოწმება კი არ არის მთავარი, ის „გონივრული ეჭვია“, რომელიც პატრულს, პოლიციელს შეიძლება გაუჩნდეს.

ჯერ ერთი, რა შეურაცხყოფაა იმ უწყებისა, სადაც ისინი მუშაობენ. ისინი ხომ სწორედ გონიერებით, განათლებით არიან შერჩეულნი და ხელფასსაც შესაბამისად იღებენ? არა, აქ მთავარია „გონივრული ეჭვი“!

თუ მადლიან საბას დავუჯერებთ, „ეჭვი — ესე არს არა მართლად, არამედ გონებით ჰგონებდეს რაიმეს ნაცილად (ტყუილად)“.

ე. ი. ეს სინამდვილე კი არ არის, გონების ტყუილი აზრიაო. ფსიქოლოგიაში და ფსიქიატრიაში ცნობილია: ეჭვი არა მარტო ამრუდებს ლოგიკას, არამედ ცვლის და ზოგჯერ, საშიშადაც ქმნის ეჭვით წარმოქმნილ ქმედებას (ოტელო).

ამიტომ, გონივრული და ეჭვი — სრულიად შეუსაბამო, გაუმართლებელია, დაუშვებელია. ეჭვი იმთავითვე გამორიცხავს გონივრულობას.

როგორც ჩანს, ეკონომიკის სამინისტროს კიდევ უფრო ძლიერი და მოაზროვნე ლიტნაწილი ჰყავს, რადგანაც ეკონომიკის სამინისტროს მოკრძალებული, სწორი, მართებული სახელწოდება იქცა „საქართველოს მდგრადი განვითარების სამინისტროდ“.

ახლა, რაშია საქმე. ცალკე სიტყვა „მდგრადი“ ყოჩაღი, იმედიანი სიტყვაა; „განვითარებაც“ ძალიან იმედიანი სიტყვაა. თუ ცოტას მოითმენ, ეკონომიკა განვითარდება. რის ხარჯზე — გადასახადების გადიდების, მიწების წართმევის, ქონების წაგლეჯის თუ სხვა ამგვარი ხერხების საშუალებით — ეს ჩვენი საქმე არაა. მთავრობამ უკეთ იცის. მაგრამ, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ „მდგრადი, მყარი, ურყევი...“ და „განვითარება“ ერთად არ იხმარება. მყარი სტატიკაა. რაღაც არის ძნელად დასაძრავი, მდგრადია.

„განვითარება“ კი — დინამიკა. თუ მდგრადი და მყარია, განვითარებადი როგორ არის? „ეფექტიანი განვითარება“ — შეიძლება, „გეგმაზომიერი განვითარება“ — შეიძლება. მდგრადი განვითარება — არათუ არ შეიძლება, უვიცობა, ქართული ენის უპატივცემულობაა...

საერთოდ იქნებ მთავრობაში ინგლისურთან ერთად ქართულ მართლწერასაც მივაქციოთ ყურადღება.

თუმცა, განათლების მინისტრი რომ საქვეყოდ იტყვის „ძალიან გაუტყდათო“ — უნდა დაიხშო „სასმენელნი“ და თუ შეძლებ, „საჩინონიც“ შიგადაშიგ გაახილო. ნაკლებს დაინახავ და გაიგონებ...

**თამილა მაკარიძე**

## ინფორმაცია

# შუამთის რესტორანში ქეიფი „ძვირად დაუჯდათ“



შუამთის რესტორანში 25 დეკემბერს მომხდარი ინციდენტის გამო, შს თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კიდევ ერთი პირი, ახმეტაში მცხოვრები ბექა ონიაშვილი დააკავეს. ონიაშვილი ამავე დანაშაულის გამო დაკავებული, ახმეტის საკრებულოს წევრის გელა ონიაშვილის ძმაა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს თელავის სამმართველოში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ხულიგნობა) არის აღძრული.

შეგახსენებთ, რომ 25 დეკემბერს, შუამთის რესტორანში ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილი, გამგებლის მოადგილე დავით დოიჯაშვილი, გამგეობის აპარატის უფროსი ივერი წითელაური და სოფელ ხალაწნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ზაზა გუნაშაშვილი ცემეს. თვითმხილველების ცნობით, ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვეს რესტორანი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა და ახმეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ.

**ХО-ЭОЯ-ЭБО**

◉ წყალთხილამურები

# ყოველთვის საქართველოს სახელით



სახელოვანმა ქართველმა წყალ-მოთხილამურე გენადი გურალი-ამ, რომელიც ოთხი წელიწადია, ერთ-ერთ იტალიურ კლუბს ავარ-ჯიშებს, წლეულსაც იასპარეზა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპი-ონატებზე და ისევ საქართველოს სახელით. ორივე შეჯიბრებაზე 6 მედალი მოიხვეჭა, მათ შორის ოქ-როები — მრავალჭიდშიც.

გუშინ გენადი გურალიას, მის ვაჟს — ლევანს, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს სპორტის ამ სა-ხეობაში, და საქართველოს წყალ-სათხილამურო სპორტის ფედერა-ციის პრეზიდენტ რომან მელიას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე და-ვით ნამგალაური და სპორტის დე-პარტამენტის უფროსი გია გალდა-ვა შეხვდნენ. ისაუბრეს გენადი გუ-რალიას განვლილ სპორტულ გზასა და წყალსათხილამურო სპორტის მომავალზე. რომან მელიამ აღნიშ-ნა, რომ გურალია რვა წელიწადი საბერძნეთის ნაკრებს ავარჯიშებ-და, ოთხი წელიწადია, იტალიურ კლუბს წვრთნის, თუმცა თავად ყვე-ლა შეჯიბრებაზე საქართველოს დროშის ქვეშ გამოდის. სამომავ-ლოდ ჩვენთანაც თუ შეიქმნება სპორტის ამ სახეობის გასავითა-რებლად სათანადო პირობები, იგი საქართველოში დაბრუნდება და ჩვენი ახალგაზრდების დაფრთი-ანებაზე იზრუნებს.

დავით ნამგალაურის თქმით, წყალსათხილამურო სპორტს დი-დი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სპორტული, არამედ ტურიზმის განვითარების თვალსაზრისი-თაც. ამიტომ სამინისტრო ყოველ ღონეს იხმარს ამ სახეობის უწინ-დელი ტრადიციების ასაღორძი-ნებლად. პირველი ნაბიჯები გა-ისად გადაიდგმება, 2012 წელს კი მალთაყვის ბაზაზე საერთაშორი-სო ტურნირის გამართვაც შესაძ-ლებელი იქნება.



**ლექსო ცინცაძე**

სურათზე: მარცხნიდან — რო-მან მელია, გენადი გურალია და დავით ნამგალაური.

ავტორის ფოტო.

◉ ბატუტზე ხტომა

# ბოლო აკორდი

საქართველოს ბატუტზე მხტო-მელებმა წლეულს რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იას-პარეზეს. განსაკუთრებით წარ-მატებული გამოდგა საფრანგეთ-ში გამართული მსოფლიო პირ-ველობა ახალგაზრდებში, რო-მელშიც ანა ოდიშვილმა ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო წყვილთა პაექრობაში თეონა ჯანჯღავასთან ერთად მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ ორ სპორ-ტსმენს, ასევე, თანატოლთა შორის ფავორიტებს — ნანა გოგაშვილს, თამარ პაპაშვილს, თინათინ ჩადუ-ნელს, გიორგი ფუტკარაძეს, ზუ-რაბ ნოზაძეს, დიმიტრი ზუტი-კოვს, რუსტამ კალოევსა და თე-მურ სონღულაშვილს წლის ბო-ლო ტურნირში — თბილისის პირ-ველობაში არ უასპარეზიათ (მწვრთნელებმა დასვენების საშუ-ალება მისცეს). ლიდერთა არყოფ-ნით ისარგებლეს და ოსტატობის კანდიდატების პროგრამით საპ-რიზო ადგილებზე გავიდნენ: გო-გონები: 1. მარიამ მწითური, 2. მეგი ცხადაძე, 3. ანა სოლოღაშვილი: ვაჟები. 1. ლაშა გაბაშვილი, 2. გი-ორგი ავლოხაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი. ასაკობრივი ჯგუ-ფების მიხედვით პირველ ადგი-ლებზე გავიდნენ: გიორგი ნაცვ-ლიშვილი, ნათია მწითური, კოტე რაზმაძე, სოფო დაშნიანი, გიორგი გულიაშვილი, მეგი ფარულავა, კოტე ლობჟანიძე, სერგო ავეტი-სიანი, ვალერი ბიძიშვილი. გამარ-ჯვებულები და პრიზიორები შე-საბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილ-დოვდნენ. ამერიკაში ტანვარჯი-შისა და ბატუტზე ხტომის მწვრთნელებად მომუშავე ქართ-ველმა სპეციალისტებმა — მამა-შვილმა კონსტანტინე და კოტე გულისაშვილებმა ახალგაზრდა ათლეტებს სპორტული ფორმები უსახსოვრეს.



**გივი გაგუა**

სურათზე: მამა-შვილი გული-საშვილები თბილისის პირვე-ლობის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან.

◉ ფარიკაობა

# მუშკეტერთა რჩეულნი

ქართველმა მოფარიკავეებმა წლე-ვანდელი სეზონი ჩაამთავრეს, მაგ-რამ შეუსვენებლად განაგრძობენ მზადებას 2011 წლისთვის, რადგან 7-8 იანვარს მოხმალავე თეოდორა კა-ხიანი იტალიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასზე იასპარე-ზებს, ხოლო მისი თანაგუნდელი მი-ხეილ მარდალეიშვილი იანვრის მი-წურულს ლონდონში ევროპის თა-სის ეტაპზე გამოვა. წლეულს ორი-ვე მოფარიკავემ ჩვენებურთაგან გა-მორჩეული შედეგი აჩვენა. თეოდო-რამ საქართველოს ჩემპიონატები მო-იგო კადეტებსა და უფროსებში, მე-რე თურქეთის თასი დაისაკუთრა, ევ-როპის თასის ერთ-ერთ ეტაპზე კი მე-სამე ადგილი დაიკავა. მარდალეიშ-ვილი ბრინჯაოებს დასჯერდა ეროვ-ნულ ჩემპიონატში, თურქეთისა და მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე. საქართველოს ფარიკაობის ფედერა-ციამ კახიანი და მარდალეიშვილი 2010 წლის საუკეთესო მუშკეტერე-ბად მიიჩნია.



**ლაშა დიდია**

◉ ფეხბურთი

# იმერლები – „მარაბელაზე“

საქართველოს ზამთრის „ჩემპიონები“ — ზესტაფონელი ფეხბურ-თელები გაისად 1-8 თებერვალს ტრადიციულ „მარაბელას“ თას-ზე იასპარეზებენ. მათთან ერთად მთავარი პრიზისთვის დონეცკის „შახტარი“, პრაღის „სპარტა“, მოსკოვის ცსკა, დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, ვარშავის „პოლონია“, პლოვდივის „ლოკომოტივი“ და კრასნოდარის „ყუბანი“ იბრძოლებენ. ქართველი ფეხბურთელები ტურნირისთვის მზადებას 8 იანვარს საკუთარ ბაზაზე დაიწყებენ, 24 იანვრიდან კი საწვრთნელ შეკრებას ესპანეთში გაივლიან.

◉ ჭადრაკი

# ქართველები მეწინავეობენ



● სარაგოსაში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით თამაშობენ ქართველი დიდოსტატები — ანა მათნაძე და სოფიკო გურამიშ-ვილი. განვლილ ხუთ ტურში მათნაძემ ოთხი პარტია მოი-გო და ერთი ყაიმით დაამთავ-რა. 4,5 ქულით იგი პირველ-მე-ხუთე ადგილებს იყოფს. 4 ქუ-ლას მოუყარა თავი გურამიშ-ვილმა.

ასპარეზობის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ორივე მო-ჭადრაკეს საპრიზო ადგილებ-ზე გასვლის შანსი აქვს.

● სინგაპურში ამავე ქვეყნის სახელით ასპარეზობს აზიის ღია ჩემპიონატზე ქართველი დიდოს-ტატი, 2003 წლის ევროპის ჩემ-პიონი ზურაბ აზმაიფარაშ-ვილი. მე-4 ტურში მან ფილიპინელი პაულ გომესს სძლია და 3,5 ქულით ერთ-პიროვნუ-ლად დაწინა-ურდა.



◉ ინტერნეტიდან

## „ბავშვთა ფაბრიკა დაიკეტა“

ასეთი სახუმარო ნოტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 90-იანი წლე-ბის ყველაზე სახელოვანმა ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა რონალ-დომ, ოთხი შვილის მამამ სამ სხვადასხვა ცოლითან, გადაწყვიტა „ბავშვების ფაბრიკის დაკეტვა“.

პრესაში გამოქვეყნებულ სტატიაში რონალდო მოხსენიებულია, რო-გორც „გაუმაძღარი ცხოვრების ყველა სფეროში“. მას ხომ 15-წლი-ანი ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. ბევრის აზრით, ის იყო ყველაზე ძლიერი მოთამაშე მსოფლიოში მარადონას შემდეგ, თანაც გოლებ-სა და მემკვიდრეებს „თესავდა“ ყველა კონტინენტზე. მას ჰყავდა ოთხი შვილი — რონალდი — 10 წლის, ალექსი — 5 წლის, მარია-სოფია — 2 წლის, მარია-ალისა — 9 თვის.

„ის იყო განსაკუთრებით საყვარელი, ლოგინში მისი შესაძლებლო-ბანი შეუდარებელია იმასთანაც კი, რასაც ის მინდორზე აკეთებს“, — ასე დაახასიათა ის ლარა დე მორაი სუზამ, პროფესიონალმა ქალმა გამოძახებით, ერთ-ერთმა იმათგანმა, ვისთანაც „ნომერ 9“-ს საქ-მე ჰქონია მილანში.




თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა, „ჩე-მი ბიჭი ჩემი სიცოცხლის ნაწილია. ახლა ჩვე-ნი ოჯახი კიდევ უფრო გაიზარდა. უკვე გვე-ყოფა. მე ფაბრიკის დაკეტვა გადავწყვიტე“, — გამოაცხადა რონალდომ და გაიკეთა ვა-ზექტომია, ჩვენებურად რომ ვთქვათ, დაი-კოდა. სხვათა შორის, ასევე მოიქცა ფეხბურ-თის მეფე — პელეც, თუმცა შემდეგ ამაზე მან ძალზე ინანა, როცა მისმა ცოლმა ხელოვნური განაყოფიერებით ტყუპები გაუჩინა.

## რატომ იხოცებიან მარათონელები?

როგორც ბრიტანულ სპორტულ სამედიცინო ჟურნალშია ნათქვამი, მარათონელებისთვის რეკომენდებული არაა შეჯიბრების დროს ბევ-რი სითხის მიღება. ათლეტები, ვისი წონაში დანაკარგები სირბი-ლის დროს უფრო მეტია, ვიდრე რეკომენდებულია იდეალური გა-მოსვლებისთვის, აჩვენებენ საუკეთესო შედეგებს. გახდომა უკავ-შირდებოდა ორგანიზმში არასაკმარისი სითხის მიღებას ან მის სწრაფ დაკარგვას.

ბოლო ხანებში ამერიკულ მარათონებზე გახშირდა სიკვდილიანობა მასში მონაწილეთა მიერ სითხის უზომოდ მიღების გამო, — აღნიშ-ნავს Rus Atletiks, — ბევრი სითხე იწვევს ნატრიუმის არანორმალუ-რად დაბალ დონეს სისხლში — ჰიპონატრიებს.

ასეთ შემთხვევაში ტიპური მაჩვენებლებია: თავბრუსხვევა, ღებინება, თავის ტკივილი და საერთო სი-სუსტე. ჰიპონატრიუმის გამოყე-ნებამ შეიძლება გამოიწვიოს აზრების არევა, გათიშვა და კო-მა.



შეჯიბრების წინ სპორტსმე-ნებს აფრთხილებენ გაუწყლია-ნობის საშიშროებაზე, ურჩევენ სირბილის დროს, რაც შეიძლე-ბა, მეტი წყლის დალევას, თუმცა ახალმა გამოკვლევებმა ცხადჰ-ყო, რომ ეს ეწინააღმდეგება კარგ შედეგს მარათონში.

დამტკიცებულია, რომ ოპტიმალურია მხოლოდ წყურვილის მოკ-ვლა, ხოლო სითხის ზედმეტმა ან არასაკმარისმა გამოყენებამ, შე-საძლოა, გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დაქვეითება.

## ინგლისში არ გაიყინა

სკანდალურად ცნობილი პოლ გასკონის ქალიშვილმა ბიანკამ სა-შობაოდ თავი დააღწია გაყინულ ინგლისს, სადაც ფეხბურთის მატ-ჩებიც კი გადაიდო და დაქალთან ერთად ცხელ ესპანურ მარაბე-ლას შეაფარა თავი.

შობას ლამაზმანი სწორედ იქ შეხვდა პლაჟზე ბიკინებში, კატერით მოისეირნე და სიმღერებში გართული.

ამ დროს კი მამამისი სამშობლოში დარჩა. ის ერთი თვის წინათ ისევ მთვრალი მანქანის საჭესთან გამოიჭირა პოლიციამ. ერთ დროს დიდ ფეხბურთელს მხოლოდ მძღოლის ლიცენზიის ჩამორთმევა კი არა, ციხეში გამომწყვდევაც ემუქრებოდა (მცირე ხნით მაინც). სასამართლო მხოლოდ მართვის უფლების ჩამორთმევით დაკმაყოფილდა. „მიხარია, რომ დღესასწაულს მეგობრების წრეში ვხვდები, საახალწლოდ კი გამოსწორებას გპირდებით!“ — მოდი და ნუ დაუჯერებთ!



ჩვენი კარაბადინი

# შევაჩეროთ დაბერება...

## ... და გავაგრძელოთ სიცოცხლე – ეს სავსებით რეალურად შეუძლია ყველას

**როგორია ყველაზე სანუკვარი სურვილი ყველა ადამიანისა ყოველთვის? იყოს ყოველთვის ახალგაზრდა და ჯანსაღი. რეალურია ეს სინამდვილეში? თურმე, სავსებით. ამას ეხება ჩვენი საუბარი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტთან, გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს წევრთან პროფესორ ვლადიმირ ანისიმოვთან.**

### გონიერებს უმართლებთ

**– ბატონო ვლადიმერ, შეიძლება სიბერის შეჩერება?**

– სიბერის შეჩერება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება მისი შენელება და ასე გაგრძელება 120 წლამდე. ეს ასაკი ჩადებულია კაცობრიობის გენებში, ის აღწერილია ბიბლიაში და ეს რეკორდი დღემდე მოუხსნელია (ყველაზე დიდხანს იცოცხლა ფრანგმა ქალმა ჟანეტ კალმანმა – 122 წელი და 164 დღე). (რედაქციისგან: ვის დავუჯეროთ? – გასული საუკუნის 80-იან წლებში პრესაში იბეჭდებოდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელი შირალი მისლიმოვი, ვისაც მაშინ კორესპონდენტები ესაუბრებოდნენ, 154 წლისა იყო და ჩვენებური ხფაფ ლასურია 132 წლისა ისევ ეწეოდა სიგარეტს).

**– მაშ, რატომაა, რომ ბევრი ამის ნახევარსაც ვერ ცოცხლობს?**

ცოცხლობს. გაგიკვირდებათ, მაგრამ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 100-წლიანთა რიცხვი ყოველ 10 წელიწადში ორმაგდება. უკანასკნელი 160 წლის განმავლობაში კაცობრიობის საშუალო ასაკი ყოველწლიურად იზრდებოდა 3 თვით.

**– მაგრამ რუსეთში სიცოცხლის ხანგრძლივობა არ არის დიდი...**

– სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ითვლება სიკვდილიანობის მიხედვით, რომელიც წელს არის დარეგისტრირებული. ჩვენთან წელიწადში ათასობით ბავშვი იღუპება გზებზე, მაღალია დანაშაულობის დონე, ალკოჰოლიზმი. ამას დაუმატეთ აშკარა და ფარული ომები. და ყველგან იღუპებიან ახალგაზრდები. ამიტომაა მაღალი სიკვდილიანობა. ჩვენში ხანდაზმულები კი არ ცხოვრობენ ცოტა ხანს, არამედ ახალგაზრდები იხოცებიან ადრე. საინტერესოა გერმანიის გამოცდილება. როდესაც ქვეყანა გაყვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად, პირველში გაიზარდა სიკვდილიანობა: სოციალიზმი ხალხს არ უფრთხილდებოდა. როდესაც 1990 წელს გერმანია გაერთიანდა, მომდევნო 10 წელიწადში სიკვდილიანობა ორივე ნაწილში გათანაბრდა, დღეგრძელთა რიცხვი აღმოსავლეთ ნაწილში მკვეთრად გაიზარდა. ზრუნვას ადამიანებისთვის სწრაფად შეუძლია გაზარდოს სიცოცხლის ხანგრძლივობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებასაც. პროფესორები დიდხანს ცოცხლობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიკვლიეს: მამაკაცები, ვინც კოლეჯი დაამთავრა, 6 წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მათი გაუნათლებელი თანამემამულენი. ეს ვრცელდება მათს ცოლებზეც! მამაკაცებს მაღალი ინტელექტის ინდექსით სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალი აქვთ, მაგრამ ქალებს – პირიქით. ისინი ამტკიცებენ, რომ ბევრი რამ შეუძლიათ – და განიცდიან სტრესს, რაც ამოკლებს სიცოცხლეს.

### კიბო და უკვდავება

**– მეცნიერებს შეუძლიათ გაუგრძელონ სიცოცხლე ცხოველებს. ხალხს – ვერა?**

– მართლაც, ნემატოდების (მრგვალი მატლია) სიცოცხლის გაგრძელება გენების გადანერგვის დახმარებით შეიძლება 6-ჯერ. საცდელი თაგვი ცოცხლობს 2,5 წელიწადს, მისი რეკორდი 1400 დღეა. წლების გაგრძელება შეიძლება, მაგრამ რა ფასად? ადამიანის გენებში რომ ჩავერიოთ და გავუგრძელოთ მათ სიცოცხლე, ვიწვევთ კიბოს სიმსივნის პროვოცირებას. რატომ? ის გენები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ დაბერებაში, მონაწილეობენ კიბოს სიმსივნის წარმოქმნაშიც. ეს პროცესები განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ტანის უჯრედს, რისგანაც იგება ყველა ორგანო და ქსოვილი, განვითარების მხოლოდ ორი გზა აქვს. ის შეიძლება გაჩნდეს, განვითარდეს, შემდეგ მოკვდეს – სწორედ ეს არის დაბერება. ან შეიძლება გადაიქცეს უკვდავ კიბოს სიმსივნედ. კიბო ხომ – ეს, არსებითად, უკვდავებაა. თუ სიმსივნის უჯრედს ავიღებთ და გადავიტანთ სხვა ორგანიზმზე, ის სხვა ორგანიზმშიც გააგრძელებს განვითარებას.





**– ყველას ახსოვს მსახიობების ანა სამოხინასა და ლუბა პოლიშჩუკის სასიკვდილო სენი – როგორც ამბობდნენ, მისი მიზეზი სწორედ ტანის უჯრედები იყო...**

– ისინი ორგანიზმში განვითარების პროვოცირებას ახდენენ. ტანის უჯრედებში მხოლოდ ძალიან მოკლე პერიოდში მუშაობენ გენები, რომლებსაც შეუძლიათ ორგანოების რეგენირება (მაგალითად, აღადგენენ ღვიძლის ნაწილს). შემდეგ ერთვება უჯრედის კიბოს უჯრედად გარდაქმნის მექანიზმი. ამიტომ მათთან მანიპულაცია მართლაც სახიფათოა. იგივე კრავი დოლი,რომელიც კლონირებული იყო ტანის უჯრედებისგან, მალე დაბერდა და მოკვდა, ვინაიდან თავის გენომში ატარებდა თავისი დედის ავადმყოფობათა მთელ ტვირთს.

**– რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენი ორგანიზმისთვის ჩვენ თვითონ?**

– დადასტურებულია: სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა – კვების კალორიულობის შეზღუდვა. თავად ხალხებმა მოუწყვეს თავიანთ თავს ექსპერიმენტი: იაპონია, სადაც დღე-ღამეში მოიხმარენ 1500-1800 კილოკალორიას – ლიდერია ხანდაზმულთა რაოდენობის მიხედვით. ჩვეულებრივი ადამიანი ასეთ დიეტაზე ვერ გადარჩება. მას მეტი ჭამა სჭირდება. მაგრამ ამ დროს როგორ უნდა მიიღო უფრო ნაკლები კალორიები? ამჟამად მეცნიერება ეძებს მიმეტიკებს – პრეპარატებს, რომლებიც ორგანიზმში ქმნიან ისეთი მდგომარეობის იმიტაციას, რაც გამოწვეულია კვების კალორიულობის შეზღუდვით. ესე იგი ისინი გავლენას ახდენენ გენებზე და საშუალებას იძლევიან, ვჭამოთ შეუზღუდავად, მაგრამ ამ დროს არ მოვიმატოთ წონაში. ასეთი პრეპარატები არის. ჯერ კიდევ 1971 წელს ლენინგრადელმა მეცნიერმა ვლადიმირ დილმანმა წამოაყენა წინადადება – გამოვიყენოთ ამისთვის ანტიდიაბეტური ბიგუანიდები – ნივთიერებანი, რომლებსაც ღებულობენ დიაბეტით დაავადებულები გლუკოზის ასათვისებლად. გამოკვლევებმა დაადასტურეს: ბიგუანიდებს აქვთ მიმეტიკების თვისებები, თანაც ახანგრძლივებენ სიცოცხლეს და მყარად ამცირებენ კიბოს განვითარების რისკს. შარშან შვეიცარიელმა მეცნიერებმა განაცხადეს: ისინი შეიძლება მივიღოთ ვადამდელი სიბერის პროფილაქტიკისთვისაც.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სინათლის რეჟიმს. ჩრდილოეთის მცხოვრებლები უფრო სწრაფად ბერდებიან. და კლიმატის სიმკაცრე მთავარი როდია. ჩრდილოეთის მხარეებში ღამეები თეთრია. შუქი კი ღამით თრგუნავს ორგანიზმში მელატონინს – ეს სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ჰორმონი გამომუშავდება ღამით. საკმარისია ჩავრთოთ კაშკაშა შუქი 15 წამით – და მელატონინი ითრგუნება. ამიტომ ძილის დროს არ შეიძლება შუქის, კომპიუტერის, ტელევიზორის ჩართვა, ღამის ლამპის დატოვება. მჭიდროდ დაბინდეთ ფანჯრები. ვინც ღამით მუშაობს, უნდა მიიღოს მელატონინი, როგორც ყველამ, ვისაც ის დაქვეითებული აქვს. ეს განისაზღვრება სისხლის, შარდის ჩვეულებრივი ანალიზით. ხოლო თუ მელატონინი საკმარისი არ არის, უნდა შევიძინოთ ის აფთიაქში და მივიღოთ შემოდგომით და გაზაფხულზე, როდესაც იცვლება სინათლის რეჟიმი. საერთოდ ძილი – ჯანმრთელობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. გამოკვლევებმა აჩვენეს: ქალები, ვისაც უძილობა 4-ჯერ აქვს კვირაში, ორჯერ უფრო ხშირად შეიძლება დაავადდნენ სარძევე ჯირკვლის კიბოთი! სილამაზისთვის უნდა გვეძინოს არანაკლებ 6 და არა უმეტეს 9 საათისა.

**– როგორღაა საქმე ახალგაზრდობის ხელოვნურ გაგრძელებასთან: კოსმეტიკა, მასაჟი? ესენი ხომ მუშაობენ – ხალხი ახალგაზრდულად გამოიყურება...**

– თუ ბათქაშით გავლესავთ შენობას, მაგრამ დავტოვებთ დამპალ გადახურვებს, ის მაინც ჩამოინგრევა. ბუნებას ვერ მოატყუებ. თანაც ჩვენ ვბერდებით უთანაბროდ და გარეგნობა – ეს ყველაფერი როდია. ერთს უფრო სწრაფად უბერდება კანი, მეორეს – შინაგანი ორგანოები. სხვათა შორის, გენეტიკურად დაბერების სიჩქარე 35 პროცენტით განისაზღვრება. დანარჩენი – ყველაფერი თქვენს ხელთაა.

ЗДОРОВЬЕ

გახსენება

### კლარა მახარაძე-ნარმანია



ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან სამუდამოდ წახვედი და შენს ზურიკოს გვერდით ხარ, რომელზეც აუტანელი ტკივილი 11 წელიწადი გტანჯავდა და შეეწირე კიდეც.

ძალიან გვაკლიხარ ჩვენო ძვირფასო. შეუძლებელია ამას შეურიგდეს ადამიანი, რომელმაც შენთან ერთად ოთხი ათეული ბედნიერი წელი გაატარა. რაც დრო გადის, უფრო მძიმეა უშენობა. შვილიშვილები და შვილთაშვილები არასოდეს მოგაკლებენ ვარდ-ყვავილებს.

კოკი ნარმანიას ოჯახი

ცისანა და გურამ ოდიშარიები, რუსიკო და მურად ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსათნოესი ქალბატონის, შესანიშნავი მეგობრის

**ლალი ქათამაძე-კვეკვესკირის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ნათესავებს.

დალი ჯანაშია, ვაჟა და სერგი გელაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლალი ოთარის ასული ქათამაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### განცხადება

სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" სააუქციონო კომისია აცხადებს საჯარო აუქციონს კომპიუტერულ ტექნიკაზე და საბანკო ინვენტარზე.

აუქციონი გაიმართება 2010 წლის 31 დეკემბერს 12 საათზე ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. №33-ში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საზღვაო ბანკის" ოფისში ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. №33, ტელ: 7-66-03.

სააუქციონო კომისია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

ნოდარის კარიკატურა



ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● გადასახლებაში მყოფი რუსი მწერალი ნიკოლაი ჩერნიშევსკი მეუღლეს, ოლგას, წერდა, ნუ დაგავიწყდება, ძვირფასო, რომ სექსუალური დაუკმაყოფილებლობა ვნებს ქალის ჯანმრთელობას. აუცილებლად გაიჩინე საყვარელი, მე ამას გთხოვ და გიბრძანებ კიდეცო. ოლგამ ყურად იღო ქმრის თხოვნა და საყვარელზე მაშინაც კი არ უთქვამს უარი, როცა ჩერნიშევსკი გადასახლებიდან დაბრუნდა. „ვერავინ ხვდება, რომ საყვარელი მყავს. მაშინ რატომ ვთქვა უარი სიამოვნებაზე, თუკი ჩემს ქმარს ამით ხელი არაფერში ეშლება?" – ამბობდა ქალბატონი ოლგა ჩერნიშევსკაია.

● ფირმა „როლს-როისის" ნიშანი ამ ფირმის ფუძემდებლების, როლსისა და როისის სახელების პირველი ასოებია. მათ საავტომობილო ფირმა 1904 წელს დააარსეს. თავდაპირველად ასოები წითელი ფერის იყო, ხოლო 1933 წელს ფერი შეუცვალეს და შავი გახდა, რადგანაც იმ წელს გარდაიცვალა როისი.

● 1987 წლის აღწერით ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 834 650 ებრაელი ცხოვრობს, მათ შორის ნიუ-იორკში – 1742 500; დიდ ბრიტანეთში – 330 000; ლონდონში – 201 000; ტოკიოში – 750; ისრაელში კი – 3 537 000.

● ბერლინში 1881 წელს დაიბეჭდა ბროშურა – ეს იყო სატელეფონო წიგნის პირველი ვარიანტი.

● გაზეთ „ფოლკს თაიმსში" დაიბეჭდა შენიშვნა: „ამერიკელების ტრადიციული ჩამორჩენა მათემატიკაში იაპონელებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში სასწავლებლად ბავშვები საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან გადმოვიდნენ".

# ბოლო გვერდი



## დაიჯესტი

### ბლინივით მზე




რომელ ჩვენგანს არ დაუხატავს ბავშვობაში მზე? დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ყველას, ამასთან, მკვლევრების დაკვირვებით, ამავე თემატიკით „ბავშვობაში“ დედამიწაზე არსებული აბსოლუტურად ყველა ცივილიზაცია ყოფილა გატაცებული! მსგავსი ღვთიური შინაარსის მიუხედავად, ყველა ერს მზის გამოსახულების ეროვნული ფორმა ჰქონდა. მაგალითად, ძველეგვიპტურ ბარელიეფებზე მზის სხივებს დედამიწისკენ გამოშვერილი ადამიანის ხელების ფორმა ჰქონდა. მათ შორის კი ხშირად ეგვიპტური ორთოგრაფიის მეტად ნატიფ იეროგლიფს გამოსახავდნენ, რომელიც „სიცოცხლეს“ ნიშნავდა.

მზის კიდევ ერთ „პორტრეტში“ მკაფიოდ ჩანს ადამიანური ნაკვთები – ესაა ძველ კართაგენელთა მზე. საკუთარ თავზე წარმოდგენის შესაფერისად გამოსახავდნენ მზეს ძველი სლავები, თუმცა რუსეთში შემორჩა ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლობის დროიდან შემორჩენილი იარილას (მზის ღმერთის) გამოსახულება – ესაა უძველესი პოპ-არტის ტიპური ნიმუში, ლოყებღაჟღაჟა და ფუმფულა ბლინი.

### მხოლოდ მაშინ, როცა მათ ღმერთი გაფანტავდა

საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი სამონასტრო კომპლექსი მეტეორი, სიდიდითა და მნიშვნელობით მხოლოდ ათონის წმინდა მთის სამონასტრო კომპლექსს თუ ჩამოუვარდება. მეტეორიტის სამონასტრო კომპლექსი თესალიაში, კლდის თავზე აგებული ექვსი მონასტრის ერთობლიობას წარმოადგენს. მონასტერში მოსახვედრად რამდენიმე ერთმანეთს გადაბმული კიბე ან თოკია საჭირო. გასაოცარია, თუ როგორ შეძლეს მონასტერთა მშენებლებმა სამშენებლო მასალების ამ სიმაღლეზე თოკებით ატანა, რომლებიც ლეგენდის თანახმად, მხოლოდ მაშინ იცვლებოდა, როცა მათ „მამაზეციური გაფანტავდა“.



### ასეთ ყავას სად დალევთ?

უნგრელმა სპეციალისტებმა დაადგინეს ის, რაც ყავის მოყვარულთა უმრავლესობისთვის მაინც, უცნობი იყო. მათი განცხადებით, ყავის გემო არა იმდენად მარცვლების ჯიშზეა დამოკიდებული, რამდენადაც მათი მოხალვის ხერხზე. მრავალი ცდის შედეგად ისინი ყავის მარცვლების... ინფრაწითელი სხივებით მოხალვის მეთოდი საუკეთესოდ მიიჩნიეს.

ისე, კაცმა რომ თქვას, სად გინდა კაცმა ინფრაწითელ ღუმელში მოხალული ყავა დალიო? ალბათ ისევ იმ უნგრელ სპეციალისტებს თუ მიაკითხავ...

## ტესტი

# ახალ წელს ღიმილით შევხვდეთ

**ახალ წლამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. ტესტის შეკითხვების პასუხებით შეგიძლიათ გაიგოთ, გახდება თუ არა ახალი წლის ღამე თქვენთვის დაუვიწყარი.**

**1. გიყვართ საჩუქრების გაცემა?**

ა) არც ისე, მათი არჩევანი ყოველთვის ჩიხში მაყენებს და მართმევს უამრავ ძვირფას დროს – 1.

ბ) მოფიქრება, არჩევანი, ჩუქება – ძალიან მიყვარს – 2.

გ) საჩუქარი მე თვითონა ვარ – 3.

**2. დღესასწაულისთვის მზადებას იწყებთ:**

ა) ნაძვის ხის ბაზრობების გახსნიდანვე – 3.

ბ) პირველი თოვლიდან – 2.



გ) ტელევიზიით საახალწლო ფილმების ჩვენების მომენტიდან – 1.

**3. როგორ უყურებთ გათამაშებებს?**

ა) ძალიან კარგად – 2.

ბ) ვალმერთებ, მხოლოდ გათამაშების ობიექტი თუ მე არა ვარ – 2.

გ) ისინი ბავშვურ გართობებად მიმაჩნია – 1.

**4. პირველი აზრი, რაც გიჩნდებათ პიროტექნიკის რეკლამის ნახვის დროს:**

ა) ყიდვა არ დამავიწყდეს – 2.

ბ) ჯობია იცხოვრო საკუთარ ბინაში, ვიდრე სხვის კარავში – 1.

გ) საუცხოო საჩუქარია შეფისთვის, იმან ხომ ამ დღეებში დაამთავრა ევრორემონტი – 3.

**5. აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, რომელი ცხოველია მომავალი წლის სიმბოლო?**

ა) ხის დრაკონი – 1.

ბ) ლითონის კურდღელი (კატა) – 2.

გ) შოკოლადის კურდღელი (კატა) – 3.

**6. რამდენიმე ხნის შემდეგ, რაც საათი თორმეტს ჩამოჰკრავს, თქვენ...**

ა) კვლავ „მაგიდის მთავარ სამკაულს“ – ტელევიზორს უზიხართ – 1.

ბ) გადიხართ თოვლიან ღამეში პეტარდების (თოფის წამლით გატენილი ქაღალდის ჭურვი, რომელსაც იყენებენ ფეიერვერკის მოსაწყობად) გასაშვებად, საგუნდაოდ და საერთოდ გიყვართ თავგადასავლები და სასწაულებს ელოდებით – 2.

გ) სალათაში ასხამთ „ოლივიეს“ – 3.

**7. მიგიწვიეს ახალი წლის წვეულებაზე, რომლის მთავარი პირობაც საკარნავალო კოსტიუმში ყოფნაა. როგორ მოიქცევით?**

ა) ალბათ, დავთანხმდები – 2.

ბ) ვიფიქრებ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ – 3.

გ) უარს ვიტყვი მიწვევაზე – 1.

**8. ქვემოთ ჩამოთვლილი სიმღერებიდან ახალი წლის ღამეს სიამოვნებით იმღერებდით:**

ა) „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო“ – 1.

ბ) „მრავალჟამიერს“ – 2.

გ) „წინწყაროს“ – 3.

**9. თუ გჯერათ, რომ ახალი წლის ღამით თორმეტი საათის დარეკვის დროს ჩაფიქრებული სურვილები აგისრულდებათ?**

ა) „ნეტავი ზღაპრებს არ ჰყვებოდეთ“.. – 1.

ბ) სავსებით შესაძლებელია – 3.

გ) რასაკვირველია, კი! – 2.

**10. სად აპირებთ ახალი წლის აღნიშვნას?**

ა) ოჯახის წრეში – 2.

ბ) მეგობრებსა და ნაცნობებს შორის – 3.

გ) ჯერ არ გადამიწყვეტია – 1.

### შეაჯამეთ ქულები და გამოიტანეთ დასკვნა

30-25 ქულა. ზოგჯერ ერთობით თავდავიწყებამდეხდება ხოლმე, რომ ახალ წელს ერთობით მთელი თვით, შემდეგ კი გიჭირთ რეალობაში დაბრუნება. ცოტა ზომიერება არ გაწყენდათ. მაშინ საზეიმო ღრეობიდან ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმში დაბრუნება იქნება მსუბუქი და უმტკივნეულო.

24-18 ქულა. იშვიათად გღალატობთ გემოვნება და ზომიერების გრძნობა. თქვენ გაქვთ უნარი მოაწყოთ დღესასწაული საკუთარი თავისთვის და მახლობლებისთვის. თუ შეძლებთ, რომ დაძლიოთ წინასადღესასწაულო სიზანტე, სასიამოვნო ახალი წლის ღამე გექნებათ!

17-10 ქულა. თქვენ მთლიანად მხარს უჭერთ ტრადიციულ შეხედულებებს და ახალი წელი მიგაჩნიათ ოჯახის დღესასწაულად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ თავს ნებას აძლევთ აღნიშნოთ იგი სხვაგან – ძველი მეგობრების წრეში. გამონახეთ დრო, ენდეთ თქვენს წარმოდგენებს და წინასწარ მოიფიქრეთ თვის მთავარი ღამის სცენარი – მაშინ, შეიძლება, ის დიდხანს, მრავალი წლის განმავლობაში დარჩეს თქვენს გულში!

თუ 10 ქულაც ვერ მოაგროვეთ. ძალიან ადრე ხომ არ დაიწყეთ ახალი წლის შეხვედრა?! დისტანცია ხომ მარათონულია, თქვენ კი გაიჭერით წინ, როგორც სპრინტერი. დაუკელით სიჩქარეს, თორემ ძალ-ღონე აღარ გეყოფათ საახალწლო საათის დარეკვამდე!

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7581 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3128 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7251 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7232 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +18 |
| ბათუმი. | +7 – +18 |
| ზუგდიდი. | +3 – +18 |
| თელავი. | +1 – +12 |

## კადრი



## ანეკდოტები

დემოკრატიის გულისთვის შეიძლება ადამიანის ნებისმიერი უფლების დარღვევაზე წასვლა.

* * *



მალე სესიები იწყება. ჰოდა, სტუდენტების თავაზიანობა უკვე აუტანელი გახდა.

* * *

ქალები ცდილობენ, ჭკუით დახარჯონ ფული. საბოლოოდ კი არც ფული რჩებათ და არც ჭკუა.

* * *

– საშინლად მეძინება, თავს ვერ ვიკავებ. მინდა როგორმე გამოვფხიზლდე, მარამ არაფერი მშველის.

– ყავა დალიე.

– უკვე სამი ჭიქა დავლიე, მაგრამ...

– მაშინ, თუ მართლა გინდა, რომ არ დაგეძინოს, აიღე იპოთეკური სესხი...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.